# ლენინის სახელი და საქმე მარად იცოცხლებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 50-ე წელი • № 93 (14697)

21 აპრილი სამშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

დღეს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა მიძღვნილი **ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის** დაბადების 100 წლისთავისადმი.

# ლენინი!

ლენინი! ეს სახელი ძვირფასი და მახლობელია დღეს მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის! მას ერთნაირი მოწიწებით წარმოთქვამენ მშრომელი ადამიანები ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში. და სწორედ ამაშია ლენინის მოძღვრების ინტერნაციონალური იდეების სიმართლე და სინათლე. იგი ერთნაირად სწვდება ყველა ერისა და რასის მშრომელთა გულსა და გონებას, ვისთვისაც ძვირფასია სოციალური თავისუფლება და ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობა.

ლენინი! ეს იყო ადამიანი, რომელმაც ამ საუკუნის გარიჟრაჟზე შექმნა ახალი ტიპის პარტია — ბოლშევიკების პარტია, რომელიც წინ წარუძღვა რუსეთის პროლეტარიატს და მოახდინა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა სისხლხორცეულად დაკავშირებული იყო მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის ბრძოლასთან. მან ყოველმხრივ დაასაბუთა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი არა მარტო ძალაუფლების დაპყრობაში, არამედ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში. საბჭოთა ხალხი დღეს იმეორებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდების სიტყვებს:

**გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს ლენინური გზით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!**

ლენინი! ეს სახელი კაცობრიობის ისტორიაში სამუდამოდ შევიდა როგორც მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დამაარსებლისა და ხელმძღვანელის სახელი. ლენინმა ყოველმხრივ შეისწავლა, განაზოგადა რევოლუციების გამოცდილება და დააკონკრეტა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, ცხადყო უდიდესი მნიშვნელობა საბჭოებისა ქვეყნის ჭეშმარიტად დემოკრატიულად მართვაში. ამ ნახევარი საუკუნის წინათ ლენინი წერდა: **„ამხანაგო მშრომელებო! გახსოვდეთ, რომ ახლა თვითონ თქვენ განაგებთ სახელმწიფოს... თქვენი საბჭოები ამიერიდან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებია, სრულუფლებიანი, გადამწყვეტი ორგანოები“.**

ლენინი! ეს იყო ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად სწამდა მასების ცოცხალი შემოქმედების, მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ძალა. იგი ყოველმხრივ უჭერდა მხარს მშრომელთა ინიციატივას, თაოსნობას სოციალისტური ყოფის დამკვიდრებაში. ამასთან იგი მტკიცედ მოითხოვდა, რომ სოციალისტური საზოგადოების ყველა წევრისათვის ჩაგვენერგა შეურიგებლობა სოციალისტური საერთო ცხოვრების პრინციპებისა და ნორმების ყოველნაირი ხელყოფისადმი.

ლენინი! ეს იყო და არის ხალხთა მეგობრობის ფუძის დამდები. **„ჩვენ გვსურს ერების ნებაყოფლობითი კავშირი, — ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალმომრეობას მეორე ერისადმი, — ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ ნდობაზე, ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე, სავსებით ნებაყოფლობით თანხმობაზე“.** და დღეს, 21 აპრილს, კრემლის ყრილობათა სასახლეში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი, იქნება იმის ნათელი დემონსტრაცია, თუ რას მიაღწიეს მრავალეროვანი სსრ კავშირის ხალხებმა ლენინური ეროვნული პოლიტიკის შედეგად.

ლენინი, კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის რევოლუციური მოძღვრების გენიალური განმგრძობი, გვასწავლიდა, რომ სოციალიზმის მატერიალური ბაზა შეიძლება იყოს მხოლოდ მაღალგანვითარებული ინდუსტრიული წარმოება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მისი ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავდა რუსეთის ელექტრიფიკაციის გეგმა — გოელრო. კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ერთგულად მიჰყვებოდა ლენინის ანდერძს, წარმატებით განახორციელა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმა. და დღეს სსრ კავშირი მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მრეწველობის განვითარების დონით.

ლენინი! ეს არის ადამიანი, რომელმაც მეცნიერულად დაასაბუთა ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიანი წვრილი გლეხური მეურნეობის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანის აუცილებლობა. ლენინის კოოპერაციული გეგმა დაედო საფუძვლად ჩვენი ქვეყნის კოლექტიურ მეურნეობათა შექმნას. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე ბელადი აღნიშნავდა: **„ახლა ჩვენ უნდა შევიგნოთ და საქმედ ვაქციოთ, რომ ამჟამად ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელსაც ჩვენ ჩვეულებრივზე გადამეტებით უნდა დავეხმაროთ, არის კოოპერაციული წყობილება“.** კომუნისტურმა პარტიამ წარმატებით განახორციელა დიდი ლენინის ეს მითითება. მოხდა ჩვენი ქვეყნის გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაცია. სოფლად გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ.

ლენინი! ეს სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს ქვეყანაში მეცნიერებისა და კულტურის აყვავებასთან. კულტურული რევოლუციის ლენინური პროგრამა დიდმნიშვნელოვანი წვლილი იყო რევოლუციურ თეორიასა და პრაქტიკაში. ბელადმა წერა-კითხვის უცოდინარობას „ადამიანის მტერი“ უწოდა და ხალხს მიმართა მოწოდებით: სწავლა, სწავლა და სწავლა! დიდი ხანია ჩვენი ქვეყანა იმკის კულტურული რევოლუციის შედეგებს. ახლა სსრ კავშირის მოსახლეობის მეხამედზე მეტს აქვს უმაღლესი და საშუალო განათლება. სახალხო მეურნეობისა და კულტურის ფრონტზე წარმატებით მოღვაწეობს 820 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი!

ლენინი! ეს იყო გამარჯვების დროშა, რომელიც წინ მიუძღოდა და ეფარავდა საბჭოთა მეომრებს დიდი სამამულო ომის პერიოდში. ამ დროშით საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა დაამარცხეს ფაშისტთა ურდოები მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის და კავკასიის მისადგომებზე. ლენინის დროშა აღმართეს რუსმა ეგოროვმა და ქართველმა ქანთარიამ მეოთხედი საუკუნის წინათ რაიხსტაგის გუმბათზე. ეს იყო ისტორიის მრისხანე გაკვეთილი, რომლიდანაც სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ თანამედროვე ომის გამჩაღებლებმა.

ლენინი! დღეს ეს სახელი აღაფრთოვანებს იმპერიალიზმის, აგრესიის, კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის ბრძოლაში. ისინი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღეებში კიდევ უფრო რაზმავენ თავიანთ რიგებს, რომ შეწყდეს აგრესია ვიეტნამში, ახლო აღმოსავლეთში, განხორციელდეს იდეა ევროპის კონტინენტზე საიმედო უშიშროების შექმნისა.

ლენინი! ეს სახელი ცოცხლობს საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში. **„კაცობრიობის აწმყო და მომავალი წარმოუდგენელია ულენინოდ და ულენინიზმოდ, — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ულიანოვსკში ლენინის მემორიალის გახსნაზე, — ლენინური იდეების შუქი გზას უნათებს მთელ კაცობრიობას ახალი გამარჯვებებისაკენ, ახალი ისტორიული მიღწევებისაკენ, ექსპლოატაციისა და ჩაგვრის სრული მოსპობისაკენ, სოციალიზმის საქმის მსოფლიო გამარჯვებისაკენ“.**

ლენინი! მისი მოძღვრება უნათებს გზას საბჭოთა ხალხებს კომუნიზმის მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე. მათ შემოქმედებითს შრომას აზრს აძლევს და ძალას მატებს ლენინის სიტყვები: **ჩვენ მივაღწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას!**

**ლენინი! ეს სახელი მარად იცოცხლებს!**



ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

ნახ. ბ. ვასილიევისა.

## საუბარი ა. ნ. კოსიგინთან

20 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო კომპანია „ფორდ მოტორის“ გამგეობის თავმჯდომარე ჰენრი ფორდი, რომელიც მოსკოვში იმყოფება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მოწვევით.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება შესაბამის საბჭოთა ორგანიზაციებსა და „ფორდ მოტორის“ კომპანიას შორის სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიური ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობათა შესახებ.

## ამხანაგ ვ. გომულკას ლენინის ორდენი გადაეცა

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებაში, მშვიდობისა და სოციალიზმის განმტკიცებაში დიდი დამსახურების აღსანიშნავად, მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში მრავალი წლის აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვლადისლავ გომულკა დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

20 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ მას კრემლში გადასცა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდო.

ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ე. შელესტი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ა. კუნაევი, პ. მ. მაშეროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, თ. დ. კულაკოვი, მ. ს. სოლომენცევი და სხვები.

დამსწრეებმა გულთბილად მიულოცეს ამხანაგ ვ. გომულკას მაღალი ჯილდო. (საკდესი).

## ყვავილები ლენინის ძეგლთან

**ყვავილებით** შემკულია ვ. ი. ლენინის ძეგლი თბილისის ბელადის სახელობის მთავარ მოედანზე. მარმარილოს კვარცხლბეკი თაიგულებშია ჩაფლული. უკვე რამდენიმე დღეა ილიჩის ძეგლთან მოდიან ადამიანები, ისინი, ვინც ყოველდღე თავიანთი შრომითი საქმეებით განაგრძობენ ბელადის უკვდავ საქმეს.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დელეგაციას ცვლის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა კოლონა. მათ მოჰყვება თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი.

ავჭალის ლენინის სახელობის შუშის ქარხნის მუშაკები მოვიდნენ ძეგლთან; საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე საწარმოს კოლექტივმა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელს „საპატიო ქიმიკოსის“ წოდება მიანიჭა.

ლენინის ძეგლი ყვავილებით შეამკეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, რესპუბლიკის მწერალთა, კომპოზიტორთა და მხატვართა კავშირების, თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების, ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქალაქის სპორტსმენებისა და ახალგაზრდების, თბილისის სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა დელეგაციებმა.

ქალაქის მშრომელთა სვლა ლენინის ძეგლისაკენ გრძელდება...

(საქინფორმი).

### ნობათი სამშობლოს

## თბილისის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლედის დავალება

თბილისის მრეწველობის მშრომელებმა, რომლებიც ჩაებნენ საყოველთაო სახალხო შეჯიბრებაში ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ვადამდე, 22 აპრილს, როგორც ეს გათვალისწინებულია ქალაქის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებებით, შეასრულეს შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლედის დავალება.

ლენინის იუბილეს დღეს თბილისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები იმუშავებენ დამკვრელურად, დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით.

თბილისის მშრომელები, რომლებიც განაგრძობენ ლენინურ შრომითს ვახტს, იბრძვიან, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 53-ე წლისთავისათვის შეასრულონ წარმოების მოცულობის ხუთწლედის დავალებანი. (საქინფორმი).



# გჭედავ და გჭედავ, ფოლადო!



დიახ, მე მჭედელი ვარ, ჩვენს დროში მეტად საამაყო პროფესიის კაცი. ოთხ ათეულ წელზე მეტი გრდემლთან გავატარე და ვინ იცის ჩემ მიერ დამზადებული რამდენი დეტალი მორგებია ქვეყნის ფოლადის მაგისტრალებზე მოხრიალე ორთქლმავლებსა და ვაგონებს. აი სულ ამ რამდენიმე კვირის წინ ჩემს მშობლიურ საწარმოს — თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანას სახელწოდება შეეცვალა. ამიერიდან მას ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა ჰქვია. რას იზამ, ელექტრობა მტკიცედ შეიჭრა ჩვენს ყოფაცხოვრებაში, ჩვენც ტექნიკური პროგრესის მეგობრები ვართ და ახლა ელექტროვაგონების დეტალები უნდა ვჭედოთ.

ყოფილხართ ამ დღეებში ჩვენს საწარმოში? ქარხნის მთავარ შესასვლელთან საყვარელი ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიდი პორტრეტი ჰკიდია. და როგორც კი შევხედავ ხოლმე ამ სურათს, უმალვე ვგრძნობ, თუ რა ღრმად შეიჭრა ეს ბუმბერაზი ადამიანი თვითეული ჩვენგანის ცხოვრებაში, რა მახლობელი და ძვირფასია იგი ჩვენთვის. ვ. ი. ლენინიც ხომ მჭედელია, ოღონდ კაცობრიობის ბედის მჭედელი!

ამ სიტყვებს რომ ვამბობ, მახსენდება მამაჩემის ბედი. მაშინ ბავშვი ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს რა მძიმე და უსიხარულო იყო მისი ცხოვრება. ჩვენ გორის მაზრის სოფელ მეჯვრისხევში ვცხოვრობდით... მამაჩემი იჯარით აიღებდა ხოლმე მიწას აზნაურებისა და კულაკებისაგან და ვალდებული იყო მოსავლის ნახევარი ჯერ მათთვის მიეტანა, ხოლო რაც დარჩებოდა, იმით ოჯახი გამოეკვება. ერთ დღეს მოხდა, რომ სოფელ ჯალიაშენში მცხოვრებ ვინმე სრესელს პირველად ვერ მიუტანა სიმინდი. ეს რომ გაიგო, მოვარდა ჩვენს სახლში და ბეღელი სულ დაგვიცარიელა. მოსავალი წაგვართვა. რა უნდა გვექნა, მე პატარა ვიყავი და ვტიროდი...

და აი ლენინური შუქი ჩვენს სოფელშიც შეიჭრა. გლეხკაცს თავისუფალი შრომის უფლება მიეცა. მე დღისით ვმუშაობდი, ხოლო საღამოს სოფლის სკოლაში ვსწავლობდი. როცა გლეხებმა კოლექტივის შექმნა გადაწყვიტეს, მას პირველად მჭედლებმა გამოვეხმაურეთ და ჩვენი არტელი შევქმენით. მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი მეც ვიყავი.

მაგრამ როგორც მჭედელს მაინც ქალაქი მიზიდავდა თავისი სიდიდით, მნიშვნელობით, უცნაურობებით... მინდოდა უფრო რთული და საინტერესო დეტალები გამომეჭედა. და როცა ოცდაათიან წლებში დიდ საწარმოში ფეხი შევდგი, მას შემდეგ განუყრელ მეგობრებად მყავნან რამდენიმე ტონიანი მძიმე ურო და მაგარი გრდემლი.

ამბობენ, წინა კაცი უკანისა ხიდიაო. მეც დამხვდნენ ქარხანაში ასეთი წინა კაცები, რომელთაც შრომა გამიადვილეს, ბევრი რამ მასწავლეს, ნამდვილ მუშურ ცხოვრებას მაზიარეს. მათ შორის იყო ჩემი ნათესავი ქიტესა ილურიძეც.

და როცა კარგად დავეუფლე საწარმოში არსებულ ტექნიკას, როცა გამოცდილმა ადამიანებმა მითხრეს, „კოტე, ახლა შენ ნამდვილი მჭედელი ხარო", მეც გავბედე და მჭედლობის საინტერესო პროფესია შევასწავლე მრავალ ახალგაზრდას, რომლებიც ახლა ქარხნის სული და გული არიან. ქარხანაში უკვე ყველა იცნობს გ. ალიაშვილს, თ. ჯაგაევსა და სხვებს, რომელნიც დროს უსწრებენ, სასახელოდ შრომობენ.

წლები გარბოდა ყოველდღიურ შრომასა და ცხოვრებაში. სიხარულთან ერთად ზოგჯერ გულის ტკივილიც განგვიცდია. დიდი სამამულო ომის დროს სამუშაო საათებს როდი ვუყურებდით. ხშირად დღისითაც და ღამითაც ვშრომობდით, რომ სწრაფად შეგვეკეთებინა ორთქლმავლები და ვაგონები, გამოგვეჭედა მტერზე [illegible] ბებს ორმაგად და სამმაგად ვასრულებდი. მიხაროდა, რომ მოკლე ხანში 1700 სტახანოველი გვყავდა ქარხანაში, ხოლო 1100-ზე მეტი დამკვრელი იყო.

ლითონების ჭედვის დაჩქარებაში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე სპეციალური სამარჯვების შექმნამ, რომელიც ქარხანაში შემოვიღეთ. ვერ წარმოიდგენთ, რა დიდი სიხარული მომგვარა აგრეთვე იმან, რომ ამ 26 წლის წინათ ჩემს ინიციატივას — პროფესიაში საუკეთესო ოსტატის სახელის მოპოვებისათვის — ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა, ხოლო უფრო მეტი წინადადებას — მოგვეწყო ლაშქრობა მასალებისა და სათბობის ეკონომიისათვის.

უკანასკნელ ხანს მე და ჩემი თანამოსაქმეები განსაკუთრებით ვზრუნავთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს მშობლიური საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, რომ თვითეული ლითონის დეტალი იყოს ზუსტი, გამძლე, უზადო.

საბჭოთა მუშის შრომას განსაკუთრებით ახალისებს ის, რომ იგი სათანადოდ ფასდება. პარტიამ და მთავრობამ ხომ ასე დიდად დააფასეს დიდ საერთო საძმო საქმეში ჩემი, რიგითი მჭედლის მცირეოდენი წვლილი. ჯერ კიდევ 1941 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის ლენინის ორდენით დამაჯილდოეს, ხოლო ამ თერთმეტი წლის წინათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომენიჭა. მიღებული მაქვს მედლები, წარჩინებული რკინიგზელის ნიშანი. ოთხჯერ ვიყავი არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო ამჟამად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ვარ. წელს იანვარში ჩემი დაბადების 60 და შრომითი საქმიანობის 40 წლისთავი აღნიშნეს.

ყოველ დილით, როცა სახლიდან სამუშაოზე მივდივარ, ვფიქრობ, თუ რა უნდა გავაკეთო დღეს, ხვალ, მომავალში, რომ ჩემი შრომის ესოდენ დიდ შეფასებას ახალი საქმეებით ვუპასუხო. ჯერჯერობით 1974 წლის ანგარიშში ვმუშაობ...

ჩვენი ქარხანა დიდი რევოლუციური ტრადიციების მქონე საწარმოა. აქ მუშათა მიტინგებზე ხშირად გამოსულან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწენი, ცნობილი რევოლუციონერები. ჩვენთან ახლაც არის ძველი დაზგა, რომელზეც ერთ დროს მუშაობდა მ. ი. კალინინი. ჩვენ კვლავაც გავუფრთხილდებით ამ სახელოვან ტრადიციებს, ყოველმხრივ გავამდიდრებთ მათ. სასიხარულოა, რომ ახალგაზრდობაც სათუთად ეკიდება ამ ტრადიციებს, იღვწის, შრომობს, რომ არ შეარცხვინოს მშობლიური საწარმოს სახელი.

როგორც ზემოთ ვთქვი, ჩვენი ძველი, ბევრის მომსწრე ქარხანა სახეს იცვლის. საწარმოს საამქროებში ორთქლმავლებს აღარ შეაკეთებენ. მიმდინარე წლიდან „ვაჟანსალებთ" სხვადასხვა მოტორვაგონიანი სექციების, ელმავლების წევის ძრავებს, დამხმარე მანქანებს, სამგზავრო ვაგონებს. ამ დღეებში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შეკვეთებსაც ვასრულებთ. ამწეებისათვის დეტალებს ვუმზადებთ.

ბუნებრივია, რომ ქარხნის კოლექტივს ორმაგი საზრუნავი გაუჩნდა — პროდუქციის წარმოების გეგმების წარმატებით შესრულებასთან ერთად საკონსტრუქციო სამუშაოებითაც არის დატვირთული. კარგი შედეგები მოვიპოვეთ ამ საიუბილეო წლის პირველ კვარტალში. ქვეყანას გეგმის გადამეტებით მივეცით 71 ათასი მანეთის პროდუქცია, სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის აქ ასე ფართოდ გაიშალა, დაწინაურდა ჩვენი სამჭედლო საამქროც.

სწორედ ყოველივე ამის შესახებ მინდოდა მეთქვა, გამეზიარებინა ყველასათვის ის ფიქრები და სურვილები, რაც ამ დიადი ლენინური იუბილეს დღეებში აღმეძრა მე, რიგით კომუნისტსა და მუშას, რადგან ისინი ესოდენ მახლობელია თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის, თვითეული მშრომელისათვის.

**კონსტანტინე ილურიძე,**

თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელი, სოციალისტური შრომის გმირი.



ნახატი გურამ გელოვანისა.

ვიტყვით — ლენინი,
პარტია გვყავს
წარმოდგენილი,
ვიტყვით — პარტია,
და ვგულისხმობთ
ვლადიმერ ლენინს.

ვლადიმერ მაიაკოვსკი

## ვ. ი. ლენინი ჩემს ცხოვრებაში

# სიცოცხლის წყარო

თურმე შეჩერდა ხუთი წუთით ქვეყანა იმ დღეს,
აღარ ესმოდათ მთების სუნთქვა თოვლიან მინდვრებს.
დუმილის სალტემ დედამიწას შეუკრა მკერდი
და დარიალში შეჩერდა თერგი.
თავი დახარეს მთებმაც, როგორც ბერიკაცებმა,
იმ დღეს ილიჩის პატივსაცემად.
დიდი სიცოცხლის წინამძღვარო, უკვდავო ლენინ,
მე აკვანშივე გავიგონე სახელი შენი
და, რაც კი ვცოცხლობ ქვეყანაზე, ასე მგონია,
შენი სიკვდილი არასოდეს გამიგონია.
ინდოელ ბავშვებს,
ბერძენ ბავშვებს,
ესპანელ ბავშვებს
და ყველა კეთილ კაცის ქოხში ბინადარ ბავშვებს
ნანასთან ერთად ესმით ახლა სახელი შენი
და სიხარულად ესატებათ მომავლის დღენი.
შენი ნათელი საუკუნის ღიმილში მოჩანს,
და შენი შუქი წინ მიუძღვის მშვიდობის დროშას.
ფრანგ დოკერს დააქვს მკე — ლენინის სურათი უბით,
მისი სახელი ანუგეშებს მექსიკელ ყმაწვილს.
კაცობრიობას გზას უნათებს მზიური შუქი
მავზოლეუმში მწოლარე კაცის.
აბა ვინ იტყვის, რომ ლენინის სიცოცხლე ჩაქრა,
ის ხალხებს ასმევს დაუშრობელ სიცოცხლის წყაროს.
თვითონ მზეზედაც ხომ არ არის სიცოცხლე, მაგრამ
სიცოცხლე მხოლოდ მზისაგან ხარობს.

აკაკი გეწაძე.



# შრომით გავწევთ წინ

ლენინის ბრძნული დებულებები მუდამ იყო და არის ჩემი და ათასობით ჩემისთანა ადამიანთა შინაგანი ძალის წყარო. დაუშრეტელია ეს წყარო ჩემს პრაქტიკულ საქმიანობაში. ის, რასაც ლენინი მთელ ჩვენს ქვეყანაზე ლაპარაკობდა, ზედგამოჭრილად მიესადაგება ჩვენს პატარა ახალსოფელსაც, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს რუკაზე უმცირეს წერტილად რომ მოჩანს. როგორც მზე წვეთ წყალში, მთელი საბჭოთა სოციალისტური წყობის შუქნათელიც ჩანს ჩვენი პატარა ახალსოფლის სინამდვილეში.

რა იყო წინათ, რა გვაქვს დღეს!.. ვიდრე ამ სტრიქონების წერას შევუდგებოდი, ერთხელ კიდევ დავიარე ჩემი საკოლმეურნეო სოფელი კიდით კიდემდე, მისი ფართობები, ნათესები და ნახნავები, გატეხილი ყამირები და ამწვანებული პლანტაციები, ბაღ-ვენახი და ფერმები, თვალი ახლებურად შევავლე ჩემი სოფლის ბუნებას — გარდაქმნილსა და გამშვენიერებულს, ადამიანთა სამსახურში ჩამდგარს. სიამოვნებით, თითქოს პირველად დამენახოს, მოვავლე თვალი ჩემი სოფლის ქუჩებსა და ბილიკებს, შუკებსა და ორღობეებს, თანასოფლელთა სახლ-კარს, ეზო-ყურეს, კულტურის კერებს...

ვზივარ საწერ მაგიდასთან, ვადგენ ამ წერილს და გონების თვალით კვლავ ვხედავ ჩემს აღორძინებულ სოფელს, ილიჩის შუქით განათებულს, ილიჩის ანდერძით მავალს წინ, კომუნიზმისაკენ, და მიხარია, რომ ძალმიძს ფიქრით, გულში, მცირედი პატაკი მივცე მას, რომლის ბრძნული სახე დამნათის მაღალი პორტრეტიდან... ეს — ლენინის ანდერძის ხორცშესხმის ნაყოფს იმკის ჩემი საკოლმეურნეო სოფელი. არ ვიცი, როგორ შევძლებ აღვწერო ზეიმი, დღეს ჩემს სოფელს რომ აქვს. ეს შინაგანი ზეიმია, ჩვენი სულიერი ზეიმია ლენინის იდეების გამარჯვებისათვის.

ჩემი სოფლის მადლობის ძირველი სიტყვები დღეს მიმართულია მარად ცოცხალი ლენინისადმი. ეს — მან მოაწერა ხელი პირველ დეკრეტს მიწის შესახებ, რომლითაც მიწა უსასყიდლოდ გადაეცა გლეხობას. ეს — დიდი ლენინის გენიით გამარჯვებული ოქტომბერი იყო, ძირფესვიანად რომ შეცვალა მიწათსარგებლობის ეკონომიური საფუძვლები და შექმნა საჭირო წანამძღვრები იმისათვის, რომ წვრილი გლეხური მეურნეობები გადასულიყვნენ მსხვილი სოციალისტური კოლექტიური მეურნეობის გზაზე.

ასე მოხდა ახალსოფელშიც. ასობით წვრილი გლეხური მეურნეობა გაერთიანდა ჯერ რამდენიმე წვრილ, ხოლო შემდეგ ერთიან დიდ კოლმეურნეობაში, და დაადგა სოციალიზმის გზას. ჩემი სოფლის გლეხობა სულ მალე საქმით დარწმუნდა, რომ სოციალისტური მეურნეობის საზოგადოებრივი ფორმა სავსებით შეესაბამება სოფლის ამოცანებს. ის იმის საშუალებას ქმნის, რომ კოლმეურნეთა პირადი ინტერესები სწორად ეხამებოდეს საზოგადოებრივ, საერთო-სახალხო ინტერესებს. ორმოც წელზე მეტია ჩვენი საკოლმეურნეო სოფელი იმკის პარტიის ხელმძღვანელობით ხორცშესხმული ლენინური კოოპერაციული გეგმის დიდებულ შედეგებს.

ვიცი, საგაზეთო წერილში არ უყვართ ბევრი ციფრი. მაგრამ ამ ციფრებში მე მესმის გამარჯვებათა ჭეშმარიტი ნაბიჯების ხმა. აბა წარმოიდგინეთ — თუ 1935 წელს კოლმეურნეობას 23.800 მანეთი ფულადი შემოსავალი ჰქონდა, 1939 წელს კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 1 მილიონ მანეთს გადააჭარბა, შარშანდელმა შემოსავალმა კი — 1.200 ათას მანეთს.

გაჩნდნენ და შემდგომ გამრავლდნენ საკოლმეურნეო შრომის გმირები, შრომის წარჩინებული ადამიანები. ჩვენმა სოფელმა აღზარდა 49 სოციალისტური შრომის გმირი, მათ შორის ორი — ორგზისა. ასზე მეტი კოლმეურნე დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, მათ შორის 60 მოწინავე კოლმეურნეს მკერდს უმშვენებს ლენინის ორდენი.

ლენინი აღნიშნავდა, რომ ჩვენი გეგმების წარმატება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია ადამიანებზე, იმაზე, თუ როგორ გამოვიყენებთ და წარვმართავთ მათს შემოქმედებითს ენერგიას. ეს არაერთხელ დადასტურებულა ჩემი მთელი ოთხი ათეული წლის მუშაობაში. ლენინი მუდამ გვასწავლიდა მეურნეობის გამგიანი გაძღოლის უდიდეს მნიშვნელობას ყველა რგოლში. მთელი 18 წელიწადი მომიხდა, ახალსოფლიდან გადაყვანილს, მემუშავნა სხვა, ჩამორჩენილ მეურნეობებში. ჯერ რუხის კოლმეურნეობაში, ხოლო მერე — ხეცერის საბჭოთა მეურნეობაში (ახლა ისინიც მოწინავენი არიან). ვიდრე ამ მეურნეობებს წინ ვუძღვებოდი, გულისტკივილით ვისმენდი ამბებს ჩემი ყოფილი კოლმეურნეობის ჩამორჩენის შესახებ, კოლმეურნეობისა, რომელიც ერთ პერიოდში ჰყვაოდა. ეს ჩამორჩენა მძიმე ლოდად დააჩნდა ოდესღაც მოწინავე და ძლიერ ახალსოფლის კოლმეურნეობას; ახლა, ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ დაბრუნებულმა და მთელმა ჩვენმა საკოლმეურნეო აქტივმა, კომუნისტებმა არა მარტო უნდა დავფაროთ წარსულის ჩამორჩენა, არამედ მძლავრი ნახტომიც გავაკეთოთ წინ. ამას გვავალებს პირობა, რაც სოფელს მივეცით, რაც ვიკისრეთ დიდი ლენინის საიუბილეო წელს.

სოფელი თავისი ბუნებრივი პირობებით კვლავ ვითარდება. მაღალმოსავლიანი კულტურები: ჩაი, ციტრუსები, ხეხილი, ტუნგი, ვენახი, ბაღჩეულ-ბოსტნეული, მარცვლეული (სიმინდის სახით) აღმავლობის გზით მიდის. ჩვენ შევისწავლეთ რეზერვები, შესაძლებლობანი, დავიწყეთ ყამირი მიწების ათვისება. ბევრი ფართობი დავაშრეთ, ამოვძირკვეთ, და ამჟამად სამარცვლე და საკვები კულტურების ქვეშ ნიადაგი გამოყენებული გვაქვს 350 ჰექტარ ახალ ფართობზე. ეს მაშინ, როდესაც მთელ 1968 წელს ამ კოლმეურნეობას აღნიშნული კულტურები ეთესა სულ 96 ჰექტარზე. ჩვენ კვლავაც ავითვისებთ ახალ მიწას, იგი ბევრი გვაქვს, და მის საერთო ფართობს ავიყვანთ 440 ჰექტარამდე. ახალათვისებული მიწის 20 ჰექტარ ფართობზე უკვე დავთესეთ ჩაი, 10 ჰექტარზე კიდევ დაითესება. დაფნა გვექნება 20 ჰექტარზე.

ახალი მიწები განკუთვნილი გვექნება ჩაისა და სხვა კულტურებისათვის. ასე, მაგალითად, 70 ჰექტარზე გვექნება ჩაი, 50 ჰექტარზე ციტრუსები, 30 ჰექტარზე ხეხილის ბაღები, 10 ჰექტარზე ვენახი, 100 ჰექტარზე ტუნგი, 10 ჰექტარზე ბაღჩა-ბოსტნეული, 50 ჰექტარზე მრავალწლიანი ბალახები, 100 ჰექტარზე სხვადასხვა საკვები კულტურები. ეს სულ ახალათვისებულ მიწებზე! ამრიგად, კოლმეურნეობას ექნება უახლოეს 4-5 წელიწადში სრულმოსავლიანი ჩაი 200 ჰექტარზე, ციტრუსები 60 ჰექტარზე, ხეხილის ბაღები — 30 ჰექტარზე, ტუნგი — 160 ჰექტარზე, მარცვლეული და საკვები კულტურები 500 ჰექტარზე და ა. შ. ამ ერთი შეხედვით მოსაწყენი ციფრების უკან დგას ადამიანთა შეუპოვარი შრომა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ დანახარჯი და გაწეული შრომა ათმაგად ანაზღაურდება, იოლი წარმოსადგენია, რა ხალისითა და ენთუზიაზმით ეწევიან ადამიანები ამ უდიდეს შრომას. ჩვენ გვექნება ჩაი 1440 ტონა, ციტრუსები 1000 ტონა, ხილი 2400 ტონა, ყურძენი 200 ტონა, ბოსტნეული 500 ტონა, ტუნგი 800 ტონა, სიმინდი 10.000 ცენტნერი. ეს ყველაფერი რეალურია, ზუსტად გაანგარიშებულია. ეს ჩვენი ხვალინდელი დღეა.

ასეთი შრომის პირველ შედეგებს ჩვენ უკვე ვიმკით — მაგალითად, კოლმეურნეობა მეცხოველეობისათვის უხეშ და კონცენტრირებულ საკვებს ილორ ყიდულობს და უკვე მიმდინარე წელს აწარმოებს რძეს ნაცვლად 3.520 ცენტნერისა 5.400 ცენტნერს. კოლმეურნეობამ უკვე აპრილში შეასრულა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმა, რაც პირველია ჩვენს ცხოვრებაში, და მოსახლეობას და ქალაქს მიაწვდის მაღალხარისხოვან და იაფ რძეს. უკვე შევასრულეთ ხორცის დამზადების გეგმაც, ჩვენ იმასაც მივაღწიეთ, რომ შევიძინეთ ავტოცისტერნა, რათა შეუფერხებლად მივაწოდოთ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას რძე. ჩემმა კოლეგებმა იციან, თუ რა სასიხარულო გამარჯვებაა ეს.

შეუპოვარი, ბეჯითი შრომის შედეგიც არის, რომ გასულ სამეურნეო წელს კაც-დღეზე გავეცით 5 მანეთი და 50 კაპიკი, ამასთან პრემიების სახით გაცემული გვაქვს 120 ტონა მარცვლეული და 75 ტონა ჩალა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან 960 ათასი მანეთის ნაცვლად მივიღეთ 1.200 ათასი მანეთი. ეს ციფრი მალე 3 მილიონამდე ავა. შრომის ანაზღაურება გაიზრდება 2,5-ჯერ თანაბრად წარმოების დონის ზრდისა.

სოფელი შეძლებული, კულტურული, განათლებული ხდება. მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ ცოტაა. ამ საზეიმო საიუბილეო დღეებშიც ვამბობთ, რომ ჩვენს შრომას ჯერაც ბევრი რამ აკლია. ამიტომ ჩვენ მუდამ გვახსოვს ლენინის ბრძნული მითითება შრომის შესახებ: თუ არ იქნა შრომისადმი შეგნებული სოციალისტური დამოკიდებულება, თუ მასებს არ ესმით თავიანთი ხანგრძლივი საერთო ინტერესი, სოციალიზმი შეუძლებელიაო.

შრომით გავწევთ წინ, დიდი ლენინის ნაჩვენები გზით.

**ანთიმოზ როგავა,**

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.

# დაუვიწყარი

- ობოლი ბიჭის ნუგეში
- ლენინური იდეების უნივერსიტეტი ციხეში
- ბოლშევიკის დედა
- წარუშლელი ღიმილი
- უმაღლესი ღირსება



მოგვეცით რევოლუციონერთა ორგანიზაცია — და ჩვენ გადავაბრუნებთ რუსეთს!

მგზნებარე ოცნება და ურყევი რწმენა გამოსჭვივის ვ. ი. ლენინის ამ სიტყვებში, რომლებიც მეფის რუსეთის ღამის წყვდიადში გაისმა. იმ დროს, როცა რუსეთის პოლიტიკურ ცაზე შავი ღრუბელი ჭაერსაც კი ბოჭავდა, მშრომელთა ბელადის გენია განჭვრეტდა ნათელ ხვალინდელ დღეს, მომავლის მაგისტრალურ გზას.

და იგი შეიქმნა, რევოლუციონერთა ორგანიზაცია, რომელიც ასე სწამდა ლენინს, შეიქმნა მჩაგვრელთა წინააღმდეგ მშრომელების ტიტანური კლასობრივი ბრძოლით. ლენინის პარტიამ მასები გაიყოლია ექსპლოატატორული წყობილებასთან საიერიშოდ. დაიწყო საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის გიგანტური, უმაგალითოდ გაბედული საქმე. იგი დაიწყო ლენინური „ნაპერწკლით" და მსოფლიო რევოლუციურ ხანძრად იქცა.

და დღეს ჩვენ, ძველი ბოლშევიკები, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავზე განსაკუთრებით ბევრს ვფიქრობთ დიდი ბელადის დროშით განცდილსა და გავლილზე. ბევრი რამ გვაქვს მოსაგონარი, საამაყო და მარად დაუვიწყარი. მე ჩემი ცხოვრებიდან შევჩერდები ზოგიერთ მათგანზე.

იწურებოდა 1910 წელი. მე ქუთაისის გიმნაზიაში ვსწავლობდი. ჭიათურიდან მამის მეგობარი მაღაროელი მეწვია. მან თავი ჩუმად დამიკრა, ხელი ლოყაზე მომითათუნა და სევდანარევი ხმით მითხრა: დათო, საჩქაროდ უნდა წავიდეთ ჭიათურაში. ახლა შინ შენი ყოფნა აუცილებელია. ელდა მეცა, შევკრთი... გულმა მიგრძნო, რომ ჩემს თავზე რაღაც უბედურება ტრიალებდა. ამიტომ შეკითხვაც ვეღარ გავბედე და მასთან ერთად თავჩაქინდრული გზას გავუდექი.

...მამაჩემი მკვდარი დამხვდა. იგი, როგორც შემდეგში გამოირკვა, მეფის ჟანდარმერიის დავალებით მოეკლათ. მამის დასატირებლად ბევრი ჭიათურელი მუშა მოვიდა. ისინი მეფერებოდნენ და თან ერთმანეთში ჩუმად ამბობდნენ, მოვა დრო და ბოლშევიკები ლენინის მეთაურობით შურს იძიებენ ხალხის მტრებზე, დაღეწავენ მეფის ტახტს. მახსოვს ერთმა მათგანმა მეორეს უთხრა, ლენინი კობას დიდი მეგობარიაო. მე მაშინ ამ სიტყვებისა არაფერი გამეგებოდა. მაგრამ ერთში კი დავრწმუნდი, რომ ქვეყნად ლენინის სახით არის ადამიანი, რომელიც შურს იძიებდა უსამართლობაზე, მათ შორის მამაჩემის მკვლელზე, და ობოლ ბიჭს ეს მანუგეშებდა.

გავიდა დრო... მამის მეგობრებმა დიდი გავლენა მოახდინეს ჩემზე. მათ შემაყვარეს რევოლუციური საქმე, გამიტაცა არალეგალურმა ბოლშევიკურმა ლიტერატურამ. ხარბად დავეწაფე ლენინის ნაშრომებს. პირველი წიგნი, რომელიც მაშინ წავიკითხე, იყო „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში". ამ წიგნის შესწავლის შემდეგ თვითონ დავიწყე ლენინის იდეების პროპაგანდა მასებში.

1919 წლის დეკემბერი იყო. კონტრრევოლუციურმა მენშევიკურმა მთავრობამ ასამდე ბოლშევიკი ქუთაისის ციხეში გამოგვამწყვდია. ჩვეულებრივ აქაც გრძელდება ცხარე კამათი მიმდინარე მომენტზე. ბოლშევიკი პატიმრები არგუმენტაციისათვის იშველიებენ ლენინის აზრებს და ამით შუქი შეაქვთ თავიანთ ნააზრევში. რა თემებზე გინდა, რომ აქ არ ლაპარაკობდნენ. ერთნაირი ინტერესით მსჯელობდნენ პროლეტარიატის დიქტატურაზე, წვრილბურჟუაზიული სოციალისტური პარტიების გამცემლობაზე, საერთაშორისო იმპერიალიზმის ზრახვებზე; ლაპარაკი იყო ვ. ი. ლენინის უბრალოებაზე, რომ ლენინმა დედის ნაჩუქარი პალტო კამოს უსახსოვრა და სხვ. ასე გადიოდა დღეები. ჩემთვის ქუთაისის ციხე გახდა პოლიტიკური ცოდნის ლენინური უნივერსიტეტი.

რაკი ლენინის დედა ვახსენე, მინდა მოგიყვეთ კიდევ ერთი ეპიზოდი ქუთაისის ციხიდან.

ზამთრის საშინელი ღამეა. ქარი ბობოქრობს, თოვლჭყაპი ციხის სარკმელშიც ატანს. თითქოს ბუნებამ პირი შეკრა, გარეთ გამოსვლა არავინ გაბედოსო. ჩვენ კი დილიდანვე ნაბრძანები გვაქვს მოვემზადოთ ეტაპისათვის თბილისში გადასაგზავნად. რიონის ხეობაში ქუთათური ქარი ღმუის, ლეწავს ყველაფერს... და აი გაისმის დიდი ზარის ხმა. ეს ნიშნავს, რომ ციხის ალაყაფის კარები იღება.

ქუჩაში პატიმრები ხლაზუნით გადიან. ციხის წინ სამოწყალოდ ბჟუტავს ნავთის ფარანი. ამ დროს ესტაფეტასავით წინიდან ჩემამდე აღწევს სიტყვები: „ლომაძეს კითხულობენ!" ვინ უნდა იყოს ასეთ ავდარში?! მე არავის ველი. გამოცდილი ბოლშევიკები მეუბნებიან, ალბათ პარტიული დავალებით ვინმე მოგზავნილიაო.

თვალხუჭია ფანრის ქვეშ დგას პატარა ტანის თავშალშემოხვეული ქალი. ერთმა ამხანაგმა იგი რევოლუციონერ კატო მიქელაძეს მიამსგავსა და მეუბნება, მოემზადე შესახვედრად, იგი ბოლშევიკური ორგანიზაციისაგან წერილს ან სიტყვიერ დავალებას გადმოგცემსო. მეც მოვემზადე. მიხარია, რომ ვასრულებ პარტიულ დავალებას. მანძილი ჩვენს შორის დაახლოებით ორმოცდაათი მეტრია. მხიბლავს ამ ქალის რევოლუციური შემართება, რომელიც არაფერს არ უშინდება... მე ახლა მას გადავეხვევი, როგორც საკუთარ დედას — ასე თხოულობს კონსპირაცია. ის კი მომცემს პარტიულ დავალებას. გუშაგები ნებას აძლევენ „დედას" „შვილთან" მივიდეს, გამოემშვიდობოს. მე კი ვასრულებ პარტიის დავალებას — გადავეხვიე „დედიკოს", მის გათოშილ ხელებს „ვკოცნი". სინამდვილეში წერილს ვეძებ. მაგრამ ამაოდ. ის კი მაგრად მიკრავს გულში. არაფერს მეუბნება. და აი, „უცნობის" ბაგიდან გაისმა ჩემთვის საყვარელი ხმა.

— შვილო, გცივა, იქნებ გშია? მოგიკვდეს დედაშენი!..

დიახ, ეს იყო ნამდვილი დედაჩემი. იგი ასრულებდა იმ პარტიულ დავალებას, რომელიც არაერთხელ შეუსრულებია დიდი ლენინის დედას, ყველა რევოლუციონერის დედას.

დასასრულ ყველაზე მნიშვნელოვანი და მარად დაუვიწყარი ეპიზოდის შესახებ ჩემს ცხოვრებაში. ეს იყო 1921 წლის შემოდგომაზე მოსკოვში.

ერთი დიდი შენობის წინ აღმოვჩნდი. ხალხი ნაკადად მოედინებოდა ამ შენობის შესასვლელისაკენ. გავიგონე, როგორ გადაულაპარაკა ვიღაცამ თავის ამხანაგს:

— მოხსენებით ლენინი გამოვა...

ეს სიტყვები იყო, და მოვწყდი ადგილიდან. მაგრამ კარებში გუშაგმა შემაჩერა;

— მანდატი!

ჩემმა საბუთმა მასზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა.

— ვერ გაგიშვებთ. აქ პარტიული კონფერენციაა, — მკაცრად მითხრა მან, მაგრამ როგორც ჩანს, ჩემმა სახის გამომეტყველებამ გული მოულბო.

— სცადეთ. უფროს მიმართეთ!

მაღალმა სათვალიანმა ულვაშა მუშამ ყურადღებით გასინჯა ჩემი საბუთები, ვიღაცას დაურეკა და ჩამიბუბუნა:

— იღბალი გქონია, ყმაწვილო!

რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე დიდ დარბაზში ვიყავი, თავმჯდომარემ ზარი დააწკარუნა და წარმოთქვა:

— მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხანაგ ლენინს.

დარბაზში ოვაციამ იფეთქა, — ყოველი მხრიდან გაისმოდა მისალმების შეძახილები. ლენინმა საათი ამოიღო, ციფერბლატზე მიგვითითა, დრო მიდისო.

ოვაცია რომ მიწყნარდა, მან ლაპარაკი დაიწყო. ლენინის გამოსვლებზე ათასობით წიგნი დაწერილა და ძნელია რაიმე ახალი მიუმატო მათ, თუმცა ყველა, ვისაც კი ხაყვარელი ბელადის სიტყვა მოუსმენია, უეჭველია, გულში ინახავს განუმეორებელ შთაბეჭდილებას. მე ეს სიტყვა დამამახსოვრდა როგორც დიდი შთაგონება, რომელიც ადამიანს მხნეობას და ძალღონეს მატებს, თუნდაც კლდეებისა და ქედების გადასალახავად, მძიმე ტვირთისა და გაჭირვების დასაძლევად.

მოსკოვის მეშვიდე საგუბერნიო პარტკონფერენციაზე ლენინის მოხსენება მიეძღვნა ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, რომელიც ბევრს მაშინ კაპიტალიზმის წინაშე უკანდახევად მიაჩნდა, და ოქტომბრის ბელადმა სიმართლის დაუფარავად გვითხრა, რომ უკანდახევა საჭიროა იმისათვის, რომ გადამწყვეტი ნახტომი გავაკეთოთ და ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოვუღოთ კაპიტალიზმის ნაშთებსო.

— ჩვენ ვისწავლით, — წარმოთქვა მან ღიმილით, — ჩვენ უეჭველად და უსათუოდ ვისწავლით იმას, თუ როგორ დავძლიოთ ყველა და ყოველგვარი სიძნელე.

ეს ნათელი, საამური ღიმილი სამუდამოდ ჩამრჩა გულში, ამ ღიმილმა როგორღაც ერთბაშად დაფარა ნგრევა, შიმშილი, განმიმტკიცა ჩვენი საქმის გამარჯვების რწმენა.

მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო. ლენინის ღიმილი თვალწინ მედგა მაშინაც, როცა ჩემი პროფესორები ვენაში (ავსტრია) ეხებოდნენ ლენინის მოძღვრებას. მე ამ ღიმილის შესახებ მისაუბრია თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანებისათვის, როცა ვიყავი დაპატიმრებული სტამბოლის, ბუდაპეშტის, ბელგრადის, სოფიის, პარიზის ციხეებში. იგი თვალწინ მედგა მაშინ, როცა ერნსტ ტელმანის გვერდით ვიბრძოდი ჰამბურგის ბარიკადებზე 1923 წელს. და ეს ღიმილი თვალწინ მიდგას ახლაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ზეიმზე ვფიქრობ იმ სახელოვან ქართველ ბოლშევიკებზე, რომლებსაც ახლო პირადი ურთიერთობა, მეგობრობა აკავშირებდათ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადთან და დღეს ცოცხალი აღარ არიან. ვინ იცის, რამდენი თბილი მოგონება, ეპიზოდი დარჩათ მათ უთქმელი ილიჩზე! მაგრამ ერთი რამ ცხადია, როგორც ი. ბ. სტალინი ამბობდა:

„ჩვენ, კომუნისტები, განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ ისინი ვართ, რომლებიც შევადგენთ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის არმიას. არ არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება — ეკუთვნოდე ამ არმიას. არ არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე პარტიის წევრის სახელწოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ამხანაგი ლენინი..."

ჩვენ, კომუნისტებს, გვეამაყება, რომ ვეკუთვნით ლენინის ამ არმიას. გვეამაყება განვლილი და განცდილი, რომელიც ჩვენ გავიარეთ ლენინის დროშით. გვიხარია, რომ ძველი გვარდიის ესტაფეტა საიმედო ხელშია.

ლენინიზმი უძლეველია!

**დავით ლომაძე,**

სკკპ წევრი 1917 წლიდან.

# ზეიმი მუზეუმში

ნამდვილი ზეიმია ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დარბაზებში. ლენინური პრემიის ლაურეატები, ლენინის ორდენოსნები, შრომის წითელი დროშის ორდენოსნები, სოციალისტური შრომის გმირები...

მუზეუმში ნახავთ ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ქალაქის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მოწინავე მშრომელებს, ვინც შრომის საბრძოლო დიდებითა და საქმიანობით მოიპოვა საპატიო წოდება. უკანასკნელ დღეებში განსაკუთრებით იმატა საექსკურსიო ჯგუფებმა. 2000-2600 დამთვალიერებელი მოდის ყოველდღიურად მუზეუმში, რათა უფრო ღრმად გაეცნონ დიდი ბელადის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველ ექსპონატებს. დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევს გამოფენა „ლენინი და საქართველო".

ექსკურსანტები მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ჩადიან კინოდარბაზში, სადაც საინტერესო მოგონებებით გამოდიან ძველი ბოლშევიკები: დ. ლომაძე, ა. გიორგაძე, თ. შავიშვილი, ლ. ჩესნოკოვი, ფ. გაგაშიძე, ს. ბერიძე, შ. ცაგარეიშვილი.

ქ. ქორიძე.



სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

# მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 1970 წლის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

[illegible]

[illegible] ... ნაპერწკლოვანი კამერები".

2. **ვლადიმირსკის** ვასილ ვასილის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, **კოშკარიოვს** დიმიტრი გიორგის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **კუზმინს** ალექსი არკადის-ძეს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რადიოტექნიკის ინსტიტუტის სექტორის უფროსს, **ლოგუნოვს** ანატოლი ალექსის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს, **სულიაევს** რომან მათეს-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, **მალიშევს** ივანე თევდორეს-ძეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, დირექტორის მოადგილეს — დ. ვ. ეფრემოვის სახელობის ელექტროფიზიკური აპარატურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მთავარ კონსტრუქტორს, — მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის 70 გიგაელექტრონ-ვოლტი ენერგიის პროტონული სინქროტრონის შექმნისა და ამუშავებისათვის.

3. **ვლასოვს** ანატოლი ალექსანდრეს-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს — პლაზმის თეორიაში ნაშრომთა ციკლისათვის, რომელიც შეიცავს მისი თვისებების კვლევის ფუნდამენტურ მეთოდს.

4. **ხოხლოვს** რემ ვიქტორის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, კათედრის გამგეს, **ახმანოვს** სერგი ალექსანდრეს-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებს, — ოპტიკაში არაწრფივი კოჰერენტული ურთიერთმოქმედების კვლევისათვის.

5. **იბრაგიმოვს** ილდარ აბდულას-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ლენინგრადის ა. ა. ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, **პროხოროვს** იური ვასილის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, განყოფილების გამგეს, **როზანოვს** იური ანატოლის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, უფროს მეცნიერ თანამშრომელს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მუშაკებს, **ლინიკს** იური ვლადიმერის-ძეს, აკადემიკოსს, ამავე ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ლაბორატორიის გამგეს, — ალბათობის თეორიის ზღვრული თეორემების შესახებ ნაშრომთა ციკლისათვის.

6. **აბაზაროვს** ვლადიმერ ალექსის-ძეს, „ობნეფტეგაზრაზვედკის" ტრესტის მმართველს, **კაბაევს** ლეონიდ ნიკოლოზის-ძეს, ტაზოვსკის გეოფიზიკური ექსპედიციის პარტიის უფროსს, **ნესტეროვს** ივანე ივანეს-ძეს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, დასავლეთ ციმბირის გეოლოგიურ-საძიებო ნავთობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს, **სალმანოვს** ფარმან კურბან ოღლის, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, პრავდინსკის ნავთობსადაზვერვო ექსპედიციის უფროსს, **ხმირნოვს** ბენიამინ გრიგოლის-ძეს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, ტიუმენის გეოლოგიური ექსპედიციის პარტიის უფროსს, **სტოროჟევს** ანატოლი დიმიტრის-ძეს, ტიუმენის მთავარი საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს განყოფილების უფროსს, — შუა ობისპირეთში ნავთობის დიდი საბადოების, აღმოჩენისა და სამრეწველო მარაგის დაჩქარებული მომზადებისათვის.

7. **ბოგომიაკოვს** გენადი პავლეს-ძეს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, დასავლეთ ციმბირის გეოლოგიურ-საძიებო ნავთობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ყოფილ დირექტორის მოადგილეს, **პოდშიბიაკინს** ვასილ ტიხონის-ძეს, „იამალნეფტეგაზრაზვედკის" ტრესტის მმართველს, **გირიას** ივანე იაკობის-ძეს, ამავე ტრესტის მთავარ ინჟინერს, **კრაევს** არკადი გრიგოლის-ძეს, მმართველს, **კავალეროვს** კირილე ვლადიმერის-ძეს, მთავარ ინჟინერს, „იამალნეფტეგაზგეოფიზიკის" ტრესტის მუშაკებს, **სობოლევსკის** ვლადიმერ ბიკენტის-ძეს, ტიუმენის მთავარი საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს მთავარ ინჟინერს, — ბუნებრივი გაზის დიდი და უნიკალური საბადოების აღმოჩენისათვის დასავლეთ ციმბირის ჩრდილოეთ რაიონებში, მათი ეფექტიანი დაზვერვისა და სამრეწველო მარაგის მომზადებისათვის.

8. **ბაბკინს** ალექსანდრე მიხეილის ძეს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **ბარხუდაროვს** სტეფანე გრიგოლის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ენის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **ფილინს** ფედოტ პეტრეს-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ამავე ინსტიტუტის დირექტორს, **ობნორსკის** სერგი პეტრეს-ძეს, აკადემიკოსს, **ჩერნიშევს** ვასილ ილიას-ძეს, **ისტრინას** ევგენია სამსონის ასულს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებს, — თანამედროვე რუსული ლიტერატურული ენის ჩვიდმეტტომიანი ლექსიკონის შექმნისათვის.

9. **სპერანსკის** გიორგი ნესტორის-ძეს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, **დომბროვსკაიას** იულია თომას ასულს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, მოსკოვის ი. მ. სეჩენოვის სახელობის 1-ლი სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, **ტურს** ალექსანდრე თევდორეს-ძეს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ლენინგრადის პედიატრიის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, — ნაშრომთა ციკლისათვის ჩვილ ბავშვთა ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის დარგში, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვთა დაავადებისა და სიკვდილიანობის მკვეთრ შემცირებას.

10. **ნოვოჟილოვს** გენრიხ ვასილის-ძეს, გენერალური კონსტრუქტორის პირველ მოადგილეს, **კუტეპოვს** იაკობ ალექსანდრეს-ძეს, გენერალური კონსტრუქტორის მოადგილეს, **სმირნოვს** ვლადიმერ იპოლიტეს-ძეს, მთავარი კონსტრუქტორის მოადგილეს, **ლეშჩინერს** დიმიტრი ვლადიმერის-ძეს, ბიუროს უფროსს, **შეინინს** ვიქტორ მიხეილის-ძეს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, განყოფილების უფროსს, მანქანათსამშენებლო ქარხნის მუშაკებს, **ოვჩაროვს** ანატოლი ალექსის-ძეს, სამოტორო ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის მოადგილეს, — „ილ-62" საკონტინენტთაშორისო სამგზავრო თვითმფრინავის შექმნისათვის.

11. **დენისიუკს** იური ნიკოლოზის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ს. ი. ვავილოვის სახელობის სახელმწიფო ოპტიკური ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსს, — ნაშრომთა ციკლისათვის „ჰოლოგრაფია სამგანზომილებიან გარემოში ჩანაწერით".

12. **დრობიშევს** თევდორე ვასილის-ძეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, მოსკოვის გეოდეზიის, აეროფოტოგადაღებისა და კარტოგრაფიის ინჟინერთა ინსტიტუტის კათედრის გამგეს, — მაღალი კლასის სიზუსტის უნივერსალური სტერეოფოტოგრამმეტრიული ხელსაწყოების შემუშავებისა და დანერგვისათვის აეროფოტოსურათების მიხედვით სხვადასხვა მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკების შესაქმნელად.

13. **კრიუჩკოვს** ბორის ნიკოლოზის-ძეს, ნავთობისა და გაზის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სექტორის ხელმძღვანელს, **მაქსიმოვს** ვლადიმერ პავლეს-ძეს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, „ტიუმენნეფტეგაზის" სამეცნიერო საკვლევი საპროექტო ინსტიტუტის განყოფილების ყოფილ უფროსს, **მოსკოვცევს** ოლეგ ალექსის-ძეს, „იუგანსკნეფტის" ნავთობსარეწი სამმართველოს მთავარ გეოლოგს, **ორუჯევს** საბიტ ატაის-ძეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის ნავთობმომპოვებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილეს, **ფაინს** იური ბორისის-ძეს, „გლავტიუმენნეფტეგაზის" მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს, **ფილანოვსკი-ზენკოვს** ვლადიმერ იურის-ძეს, ამავე მთავარი სამმართველოს ყოფილ მთავარ ინჟინერს, — მაღალეფექტიან კომპლექსურ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ გადაწყვეტათა შემუშავებისა და დანერგვისათვის, რომლებმაც უზრუნველყვეს ნავთობის მოპოვების დაჩქარებული განვითარება ტიუმენის ოლქში.

14. **ნიკიტინს** ნიკოლოზ ვასილის-ძეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, სატელევიზიო კოშკის ავტორ-კონსტრუქტორს, ხანაზამბით და სპორტულ ნაგებობათა სამეცნიერო-ექსპერიმენტული დაპროექტების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, სამუშაოს ხელმძღვანელს, **ზლობინს** ბორის ალექსის-ძეს, სატელევიზიო კოშკის პროექტის მთავარ ინჟინერს, ამავე ინსტიტუტის თანამშრომელს, **ბურდინს** დიმიტრი ივანეს-ძეს, ქალაქ მოსკოვის მთავარი არქიტექტორის მოადგილეს, **შკუდს** მოსე აბრამის-ძეს, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მთავარ ინჟინერს, **შჩიპაკინს** ლევ ნიკოლოზის-ძეს, სამრეწველო ლითონკონსტრუქციების საპროექტო ინსტიტუტის დირექტორს, — ოსტანკინოს სატელევიზიო კოშკის პროექტისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ აგრეთვე დაადგინეს, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 1970 წლის ლენინური პრემიები მიენიჭოთ მეცნიერთა, კონსტრუქტორთა და მრეწველობის მუშაკთა დიდ ჯგუფს შემდეგი ნაშრომებისათვის:

— სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების კომპლექსი, რომლებიც მოეწყო ექსპერიმენტული ორბიტული სადგურის შექმნის მიზნით და, რომლებიც რეალიზებულია „სოიუზის" რაკეტულ-კოსმოსური სისტემების გაშვებათა დროს;

— „ვენერა-4", „ვენერა-5", „ვენერა-6" ავტომატური საპლანეტთაშორისო სადგურების შექმნისა და პლანეტა ვენერას ატმოსფეროს ფიზიკური პარამეტრებისა და ქიმიური შედგენილობის განსაზღვრის სამეცნიერო კვლევის კომპლექსი;

— მეტეოროლოგიური კოსმოსური სისტემის შექმნა, რომელიც დედამიწის „მეტეორის" ხელოვნური თანამგზავრების საშუალებით უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობისათვის საჭირო გლობალური მეტეოროლოგიური ინფორმაციის მიღებასა და ოპერატიულ დამუშავებას;

— იაკუტის ალმასის ძირითადი საბადოების სამრეწველო ათვისება ახალი ეფექტიანი ტექნოლოგიის შემუშავებისა და დანერგვის საფუძველზე.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

# ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის 1970 წლის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

**სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, განიხილეს რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება, დაადგინეს 1970 წლის ლენინური პრემიები მიენიჭოთ:**

## ლიტერატურის დარგში

1. **გულიამ** გაფურს (გულიამოვს გაფურ გულიამის-ძეს), უზბეკეთის სახალხო პოეტს (სიკვდილის შემდეგ) — უკანასკნელი წლების ლექსებისათვის.

2. **ტიხონოვს** ნიკოლოზ სიმონის-ძეს, სოციალისტური შრომის გმირს, მწერალს — წიგნისათვის „ექვსი სვეტი".

## მუსიკისა და საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობის დარგში

3. **ზიკინას** ლიუდმილა გიორგის ასულს, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტს — საკონცერტო პროგრამებისათვის „საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები", „შენ, ქალო", „ძველებური რუსული ხალხური სიმღერები".

4. **ერნესაქსს** გუსტავ გუსტავის-ძეს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, ესტონეთის სსრ სახელმწიფო აკადემიური ვაჟთა გუნდის მხატვრულ ხელმძღვანელსა და მთავარ დირიჟორს — 1967-1968 და 1968-1969 წლების საკონცერტო პროგრამებისათვის.

## სახვითი ხელოვნების დარგში

5. **ასარისს** გუნარს კონსტანტინეს-ძეს, არქიტექტორს, **ბუკოვსკის** ლევ ვლადიმერის-ძეს, მოქანდაკეს, **ზაკამენის** ოლეგ ნიკოლოზის-ძეს, არქიტექტორს (სიკვდილის შემდეგ), **ზარინს** იან პეტრეს-ძეს, მოქანდაკეს, **ოსტენბერგს** ოლგერტს ინდრიკის-ძეს, არქიტექტორს, **სკარაინს** ოლეგ იულის-ძეს, მოქანდაკეს, **სტრაუტმანს** ივარ არვიდის-ძეს, არქიტექტორს — სალასპილსში ფაშისტური ტერორის მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალური ანსამბლისათვის.

6. **ვუჩეტიჩს** ევგენი ვიქტორის-ძეს, სოციალისტური შრომის გმირს, სსრ კავშირის სახალხო მხატვარს, მოქანდაკეს, ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელს, პროექტის ავტორს, **ბელოპოლსკის** იაკობ ბორისის-ძეს, რუსეთის სფსრ დამსახურებულ მშენებელს, არქიტექტორს, პროექტის ავტორს, **დიომინს** ბენიამინ ალექსის-ძეს, არქიტექტორს, **მატროსოვს** ვლადიმერ ევგენის-ძეს, მოქანდაკეს, **ნოვიკოვს** ანატოლი სიმონის-ძეს, მოქანდაკეს, **ტიურენკოვს** ალექსანდრე ალექსის-ძეს, მოქანდაკეს — სტალინგრადის ბრძოლის გმირთა ძეგლ-ანსამბლისათვის ვოლგოგრადში.

## თეატრალური ხელოვნების დარგში

7. **გრიგოროვიჩს** იური ნიკოლოზის-ძეს, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტს, ბალეტმაისტერს, **ვირსალაძეს** სიმონ ბაგრატის-ძეს, რუსეთის სფსრ და საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს, **როჟდესტვენსკის** გენადი ნიკოლოზის-ძეს, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტს, დირიჟორს, **ვასილიევს** ვლადიმერ ვიქტორის-ძეს, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტს, **ლავროვსკის** მიხეილ ლეონიდეს-ძეს, რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტს, — სპარტაკის როლის შემსრულებლებს, **ლიეპას** მარის-რუდოლფ ედუარდის-ძეს, რუსეთის სფსრ და ლატვიის სსრ სახალხო არტისტს — კრასის როლის შემსრულებელს — საბალეტო სპექტაკლ „სპარტაკისათვის" სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში.

## არქიტექტურის დარგში

8. **გრადოვს** იური მიხეილის-ძეს, არქიტექტორს, **ზანკოვიჩს** ვალენტინ პავლეს-ძეს, არქიტექტორს, **ლევინს** ლეონიდ მენდელის-ძეს, არქიტექტორს, **სელიხანოვს** სერგი ივანეს-ძეს, ბელორუსიის სსრ სახალხო მხატვარს, მოქანდაკეს, — მემორიალურ კომპლექს „ხატინისათვის".

## საბავშვო ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთათვის

9. **მიხალკოვს** სერგი ვლადიმერის-ძეს, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მწერალს, — უკანასკნელი წლების პოეტური ნაწარმოებებისათვის უმცროსი ასაკის ბავშვთათვის.

# ლენინური პრემია — ლენინის დღეებში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს გიორგი ივანეს-ძე ჩიქოვანს, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე რონინიშვილს და მათს მოსკოველ და ერევნელ კოლეგებს ლენინური პრემია მიენიჭათ ტრეკული ნაპერწკლოვანი კამერების შექმნისათვის.

ვიდრე ამ ნაშრომებს შევეხებოდეთ, გადავხედოთ ლენინური პრემიების სიას და ვნახოთ, თუ რა გამოკვლევების გვერდით არის მოხსენებული ჩვენი ამხანაგების ნამოღვაწარი.

უპირველეს ყოვლისა ეს არის პროფესორ ვლასოვის ნაშრომი. მან ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში ჩამოაყალიბა პირველი განტოლება, რომელსაც ემორჩილება პლაზმა, სწორედ ის პლაზმა, რომელმაც ესოდენ დიდი როლი უნდა შეასრულოს მომავლის ენერგეტიკაში — თერმობირთვული რეაქციების მართვის პროცესში. პლაზმისაკენ მიპყრობილია მთელი კაცობრიობის ყურადღება. პლაზმა — ეს არის პრობლემა № 1.

ლენინური პრემიების სიაში, იმ სამუშაოს შემდეგ, რომელშიც ქართველმა ფიზიკოსებმა შეასრულეს წამყვანი როლი, მოხსენიებულია სერპუხოვის ამაჩქარებლის შემქმნელთა გვარები. ეს დანადგარი ამაჩქარებელი ტექნიკის ფლაგმანად შეიძლება ჩაითვალოს. ის არის გიგანტი გიგანტთა შორის, რომელიც მწყობრში ჩადგა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლის საიუბილეო დღეებში და მისი საშუალებით უკვე მიღებულია უმნიშვნელოვანესი შედეგები მატერიისა და ანტიმატერიის სტრუქტურის შესახებ.

მაგრამ თავი დავანებოთ ჩამოთვლას. ეს ორი შედარება სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ შევაფასოთ ქართველ ფიზიკოსთა ნაშრომის მნიშვნელობა: მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და მე გეტყვი, ვინა ხარ შენ — გვეუბნება ანდაზა.

ტრეკული ნაპერწკლოვანი კამერები ჩვენ უნდა განვიხილოთ დიდ ამაჩქარებლებთან ურთიერთდამოკიდებულებაში: ეს ამაჩქარებლები, აჩქარებენ რა დამუხტულ ნაწილაკებს სინათლის სხივის სიჩქარემდე, საშუალებას იძლევიან ამ მიკრო-ყუმბარებით მოვახდინოთ ბომბარდირება ატომებისა, ატომბირთვებისა და ბოლოს იმ ელემენტარული ნაწილაკებისაც კი, რომელთაგან შედგება ატომის ბირთვი. ტრეკული ნაპერწკლოვანი კამერები თავის მხრივ საშუალებას გვაძლევენ შევისწავლოთ ის „კატასტროფები", რომლებსაც ადგილი აქვს მიკროსამყაროში ელემენტარული ნაწილაკების შეჯახებისას. ამავე დროს ირკვევა, რომ ელემენტარული ნაწილაკები, როგორც ასეთები სინამდვილეში არც კი არსებობენ. შეიძლება ითქვას, რომ ელემენტარული ნაწილაკები ხასიათდებიან უფრო რთული სტრუქტურით, ვიდრე თვით ატომბირთვები.

ტრეკული ნაპერწკლოვანი კამერა არ წარმოადგენს ერთადერთ ხელსაწყოს, რომლის საშუალებითაც ხდება ელემენტარული ნაწილაკების ბუნების შესწავლა. ჰაიგერის მრიცხველებმა, ვილსონის კამერებმა, ჩერენკოვის მთვლელებმა, ბირთვული რეაქციებისადმი მგრძნობიარე ფოტოემულსიურმა მეთოდებმა, თხევადმა ბუშტოვანმა კამერებმა, განსაკუთრებით კი თხევადწყალბადურმა კამერებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თავის დროზე ელემენტარული ნაწილაკების სტრუქტურის შესწავლის საქმეში და მათ დღესაც ფართოდ იყენებენ. საგულისხმოა, რომ თითქმის ყველა აქ ჩამოთვლილი მეთოდი აღინიშნა ნობელის პრემიით.

მაგრამ თანამედროვე ამაჩქარებლების საშუალებით ენერგიების გაზრდა მოითხოვს ჩვენგან ახალი მეთოდების შექმნას, რომლებისთვისაც დამახასიათებელი უნდა იყოს უფრო დიდი გარჩევისუნარიანობა, მოვლენის სწრაფი რეგისტრაცია და ისინი უნდა იძლეოდნენ საშუალებას მიღებული ინფორმაცია უშუალოდ შევიყვანოთ ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებში.

დიდი მომავალი აქვს ტრეკულ-ნაპერწკლოვან კამერებს, რომლებსაც იყენებენ მსოფლიოს ყველა ამაჩქარებლებზე.

მეცნიერები არც თუ ისე იოლად და უცბად აღწევენ შედეგებს, რომლებიც „ლენინური პრემიების კლასს" მიეკუთვნება. გოგი ჩიქოვანი (მაშინ ის ჩვენთვის ჯერ კიდევ გოგი იყო), და მისი ჯგუფის წევრები — ვ. რონინიშვილი, ვ. მიხაილოვი და სხვ. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები იყვნენ, როდესაც 1957 წელს მიიღეს დავალება შეემუშავებინათ ელემენტარული ნაწილაკების დეტექტირების „საკუთარი" მეთოდი.

იმ პრინციპის აღმოჩენამდე, რომელიც საფუძვლად დაედო ტრეკული ნაპერწკლოვანი კამერის შექმნას, ისინი 1963 წელს მივიდნენ, მაშინ, როცა მათში ყველაზე უფროსი 34 წლისა იყო.

ასეთი ტრადიცია დამკვიდრდა ფიზიკის ინსტიტუტში — სრულიად ახალგაზრდა მეცნიერებს ევალებათ შეასრულონ „თითქმის" გადაუწყვეტელი, ძნელი და ძალიან პასუხსაგები ამოცანა. მაგრამ თუ ეს „თითქმის" ზუსტად არის გათვლილი, დავალების მიცემამდე მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი შეიქმნას დაძაბული რიტმი მუშაობაში და ამოცანის სწორად გადაწყვეტის პერსპექტივა.

მაგრამ რა არის „საკუთარი" მეთოდი? ყოველგვარი მეცნიერული სკოლისათვის ამ „საკუთარს" ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მეცნიერი თუ იყენებს სტანდარტულ მეთოდს, ის იძულებული ხდება შეხედოს შესასწავლ მოვლენას ისევე, როგორც მისი ყველა კოლეგა. თუ ის იყენებს არასტანდარტულ მეთოდს, მაგრამ სხვის მიერ შექმნილს, ის მოვლენას უყურებს სხვისი თვალით. ამასთანავე მეთოდის შემქმნელი ყოველთვის შენზე წინ არის. „საკუთარი" „შენი" მეთოდი — ეს შენი თვალთახედვაა, შენი ხედვის კუთხეა. „საკუთარი" მეთოდი — ეს შენი ინდივიდუალობაა. მეცნიერებაში კი ინდივიდუალობის გარეშე მოღვაწეობა შეუძლებელია. სწორედ ამიტომ არის, რომ ფიზიკის ინსტიტუტში შექმნილია ამდენი „საკუთარი" მეთოდი.

კოსმოსური სხივების ფიზიკის განყოფილების თანამშრომლები — 23 წლის ახალგაზრდები 27 წლის გ. ჩიქოვანის ხელმძღვანელობით შეუდგნენ მუშაობას. მათ საკმაოდ მალე მიაგნეს სწორ გზას და დეტექტორებად გამოიყენეს ნაპერწკალი, რომელიც გაკვეთავს გაზს ელემენტარული ნაწილაკის გავლის მომენტში. ჩვენ უკვე ვზეიმობდით გამარჯვებას, როდესაც გამოირკვა, რომ ანალოგიური მუშაობა წარმოებდა იაპონიაში. პირველნი საერთაშორისო ასპარეზზე გამოვიდნენ ფუკუი და მიამოტო. მათ ნაპერწკლოვან კამერას, ძალიან მარტივ ხელსაწყოს, შეეძლო ელემენტარული ნაწილაკის მხოლოდ გავლის რეგისტრირება, მაგრამ უნარი არ შესწევდა მოეცა რაიმე დამატებითი ინფორმაცია ამ ნაწილაკის ბუნების შესახებ.

გ. ჩიქოვანმა მალე გაუსწრო იაპონელებს და უფრო გააღრმავა მიღებული შედეგები. იმ დროისათვის ნაპერწკლოვანი კამერების შექმნისათვის მუშაობა წარმოებდა მსოფლიოს უკვე ბევრ ლაბორატორიაში. ამ მიმართულებით საბჭოთა კავშირშიაც მიმდინარეობდა კვლევა, კერძოდ მოსკოვში და ერევანში. კვლევის მიმართულებები გაიყო. გ. ჩიქოვანი თავის თანამშრომლებთან ერთად ეძებდა გზებს გაზში ელექტრული იმპულსების ხანგრძლივობის შემცირებისათვის, ამ გზას დაადგნენ აგრეთვე მოსკოველი ფიზიკოსები ანატოლი დოლგოშეინი და ივანე ლუჩკოვი. უნდა აღინიშნოს, რომ მათ შეიტანეს დიდი წვლილი. გამოიყენეს რა არკადიევ-მარქსის მოკლე ელექტრული იმპულსების გენერატორი. არტემ ალიხანიანი და თინათინ ასათიანი შეუდგნენ ნაპერწკლის ბუნების შესწავლას მაგნიტურ ველში.

1963 წელს გ. ჩიქოვანმა და ვ. რონინიშვილმა პირველებმა ჩამოაყალიბეს იზოტროპიული ბუნების სტრიმერული ნაპერწკლოვანი კამერის პრინციპები. ელემენტარული ნაწილაკების კვალს ისინი ხედავდნენ როგორც ერთმანეთის თანმიმდევრულად განლაგებულ, ჯერ განუვითარებელ პატარა ნაპერწკლებს — ეგრეთწოდებულ სტრიმერებს, რომლებიც წარმოგვიდგებიან მნათი წერტილების სახით. ასეთ კამერებს შეეძლოთ ელემენტარული ნაწილაკების გავლის არა მარტო რეგისტრირება, არამედ მათი ბუნების შესწავლაც.

დასანანია, რომ ეს კამერები, რომელთა შექმნაც დაწყებული იყო სწორედ კოსმოსური სხივების შესასწავლად, პირველ ხანებში შეუთავსებელი აღმოჩნდნენ იმ დანადგარებთან, რომლებიც მუშაობდნენ ცხრაწყაროს მაღალმთიან ბაზაზე. მხოლოდ 1968 წელს ვლ. მიხაილოვმა შექმნა მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა გიგანტური ელექტრო-მაგნიტური შეშფოთებების ლიკვიდაცია. ხოლო მარკოზ ბიბილაშვილმა თავის ლაბორატორიაში დააყენა ასეთი ხელსაწყოების მთელი ბატარია და დაიწყო გამოკვლევა ე. წ. მიუ-მეზონებისა — ელემენტარული ნაწილაკებისა, რომლებიც თავისუფლად განსჭოლავენ 80 მეტრი სისქის მიწის ფენას. ეს სამუშაოები, სავსებით მართებულად აღიარებულია ყველა ქვეყანაში, სადაც კი შეისწავლიან კოსმოსურ სხივებს.

მაგრამ მაინც ნაპერწკლურმა კამერებმა ყველაზე კარგად გამოიჩინეს თავი საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, შვეიცარიის გიგანტურ ამაჩქარებლებზე.

მათი საშუალებით უკვე მიღებულია ახალი შესანიშნავი შედეგები, დადგენილია მიკროსამყაროს ახალი კანონები, აღმოჩენილია ახალი ელემენტარული ნაწილაკები.

დასანანია, რომ გიორგი ჩიქოვანი ვერ მოესწრო თავის ტრიუმფს და რომ ჩვენ — მის მასწავლებლებს, მეგობრებს და უბრალოდ თანამემამულეთ გვიხდება უმისოდ ვიზეიმოთ მისივე გამარჯვება.

**ე. ანდრონიკაშვილი,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.**

ლენინური პრემიის ლაურეატები



თ. ასათიანი. გ. ჩიქოვანი. ვ. რონინიშვილი. ს. ვირსალაძე.

# მზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის

**სსრ** კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია, არჩევნების დებულების შესაბამისად, თვალყურს ადევნებს იმას, რომ სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე არჩევნებისათვის მზადების დროს განუხრელად იცავდნენ საბჭოთა საარჩევნო კანონის მოთხოვნებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები კომისიის პირველ სხდომაზე მთელი რიგი საკითხების განხილვის შემდეგ, რომლებიც დაკავშირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებთან, ამჟამად სწავლობენ ზოგიერთ მოკავშირე, ავტონომიურ რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში საქმეთა ვითარებას.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვ. ვ. ერმილოვი იყო კრასნოდარის მხარეში, სადაც გაეცნო არჩევნებისათვის მზადების მდგომარეობას, საარჩევნო კომისიების მუშაობის ორგანიზაციას, მათს მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას საარჩევნო კამპანიის მოსაწყობად.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები ბ. სალიევა, რომელიც ახლა ყირგიზეთის სს რესპუბლიკაშია, ვ. ი. ვაინო, რომელიც ესტონეთის სს რესპუბლიკაშია, კ. ხ. იბატულინი — თათრეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ე. დ. ბორზენკო — ჩელიაბინსკის ოლქში კომისიის დავალებით ეცნობიან არჩევნებისათვის მზადების მსვლელობასა და იმას, თუ როგორ იცავენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების მოთხოვნებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია დახმარებას უწევს რესპუბლიკურ და საოლქო საარჩევნო კომისიებს მუშაობის მოწყობაში, მუდმივი კავშირი აქვს მათთან და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიებში

**20 აპრილს** კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა; მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის; მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ახალგაზრდობის საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა.

სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი. მოხსენება საფუძვლების პროექტის შესახებ გააკეთა პროექტის საბოლოოდ დამუშავების მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარემ, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა, დეპუტატმა ვ. ი. პროხოროვმა.

კომისიებმა ძირითადად მოიწონეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი. (საქდეს).

# ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკურ საარჩევნო კომისიაში

20 აპრილს თბილისში შრომის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა.

სხდომა გახსნა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ზეინკალმა ამხ. ვ. ა. ასათიანმა. მან თქვა, რომ ახლანდელი საარჩევნო კამპანია დაიწყო მზარდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. ამ დღეებში საქართველოს მშრომელთა, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანის მთელი ხაქმეები და ფიქრები გაცისკროვნებულია ლენინის მომავალი იუბილეს შუქით. საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ამხ. ვ. ა. ასათიანმა კომისიის წევრებს გააცნო ამოცანები, რომლებიც რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის წინაშე დასახულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" შესაბამისად. თავის გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების დროს უნდა უზრუნველყოს სსრ კავშირის კონსტიტუციით დადგენილი საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიული პრინციპების შესრულება, „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" მოთხოვნების დაცვა.

კომისიის სხდომაზე განიხილეს ფართო წრე საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებასა და მოწყობასთან.

სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ამხ. ზ. ა. კვაჭაძის ინფორმაცია მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების უზრუნველყოფის შესახებ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო დოკუმენტების ბლანკებით, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისა — ქაღალდით, წითელი მატერიით, ფულადი სახსრებით, ბეჭდებით და საარჩევნო ყუთებით. ინფორმაცია ამ საკითხზე გააკეთეს აგრეთვე საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა ამხ. ე. ზ. თოხაძემ და „ცეკავშირის" გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. შ. კ. შელიამ.

საარჩევნო ოლქებისა და უბნების კავშირგაბმულობის საშუალებებით და სატრანსპორტო ავიაციით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ კომისიის წევრებს მოახსენეს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ამხ. მ. ნ. ინაურმა და საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. მ. მ. ცაგარელმა.

კომისიის პირველ სხდომაზე დაამტკიცეს რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის უწყების ტექსტი, ტექნიკურ მუშაკთა შტატი, კომისიის წევრთა მორიგეობის გრაფიკი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის მუშაობის გეგმა.

კომისიის სხდომაზე ინფორმაცია გააკეთა მისმა მდივანმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ამხ. რ. გ. მეტრეველმა. (საქინფორმი).








# ქართული ლენინიანა

დიდი ბელადის საიუბილეოდ საქართველოში დაბეჭდილ ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნია „ქართული ლენინიანა“, რომელიც „მერანმა“ რუსულ ენაზე გამოსცა.

ეს მაღალი, ნამდვილად სანიმუშო პოლიგრაფიული ხელოვნებითა და ოსტატობით გამოცემული 600-გვერდიანი წიგნი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრული აზრის დიდი მატიანეა, რომელშიც ერთად არის აკინძული ყველა მნიშვნელოვანი მასალა, რაც კი ქართველ ხალხს ბელადის სახელთან და მის უკვდავ იდეებთან აკავშირებს.

წიგნი იხსნება შესავალი წერილით „ლენინური იდეების ზეიმი“. შემდეგ დაბეჭდილია ისტორიულ-რევოლუციური დოკუმენტური მასალები, ლენინის წერილი აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკის კომუნისტებისადმი, ნაწყვეტები ლენინის წიგნებიდან, სტატიებიდან და სიტყვებიდან, ეპისტოლარული მასალები (ბელადის მიწერ-მოწერა საქართველოს რევოლუციური მოძრაობის მოღვაწეებთან), ქართველი ავტორების მოგონებანი ბელადზე, საქართველოს მშრომელთა მიმართვები და მისალმებანი ბელადისადმი.

წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს ქართულ მხატვრულ ლენინიანას — ბელადის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის თემაზე შექმნილ პოეტურ, პროზაულ და დრამატურგიულ ნაწარმოებებს.

საყურადღებო და მრავალფეროვანია წიგნის ბოლო განყოფილება „მოვლენები, ეპიზოდები, ფაქტები“. კრებული დასურათებულია სახვითი ხელოვნების ქართველ ოსტატთა ნამუშევრების ფოტოპროდუქტებით.

„ქართული ლენინიანა“ შედგენილია გ. ბებუთოვის, გ. ჟვანიასა და ლ. კალანდაძის მიერ. სარედაქციო კოლეგიაში შედიან გ. აბაშიძე, ზ. ახვლედიანი, დ. გოგოხია, ბ. ჟღენტი, მ. ზლატკინი, კ. კალაძე, დ. სტურუა.

წიგნის გრაფიკული გაფორმების ავტორია ი. გურო, მხატვრული რედაქტორი — ა. ხარჩილაძე, ტექნიკური რედაქტორი — ე. ახსახალიანი, კორექტორები — ლ. შახნაზაროვა და ე. ნეიმანი. წიგნი დაბეჭდილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში, ხოლო ილუსტრაციები, ფორზაცი და სუპერი — მთავარპოლიგრაფმრეწველობის ფერადი ბეჭდვის სტამბაში.

სურათებზე: მარცხნიდან — წიგნი „ქართული ლენინიანა“; წიგნის ილუსტრაციები (ზემოთ მარცხნიდან) — უ. ჯაფარიძე „ვ. ი. ლენინის პორტრეტი“ და ი. ვეფხვაძე — „ლენინი პეტროგრადში“.

# წიგნებად ქცეული შრომა

**რაც ამ დღეებში გამოიცა**

[illegible]

...მელიც მომზადებულია ავტორთა კოლექტივის მიერ გ. ობიჩკინის ხელმძღვანელობით (ქართული თარგმანის რედაქტორია ი. მირცხულავა). ასევე დიდი კმაყოფილებით მიიღო ჩვენმა საზოგადოებრიობამ კრებულები „ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელის ავტორიტე-[illegible]

[illegible] საუკეთესო ქართველ პოეტთა ლექსები (ქართული ენის საუკეთესო უკეთესთა მორის, რაც მათ კალამს ბელადისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემის გამოსახატავად შეუქმნია. ამავე გამომცემლობის რუსულმა სექტორმა (მთავარი რედაქტორი მ. ზლატკინი) ამ დღეებში გამოუშვა დიდტანიანი კრებული „ლენინიანის ქართული ფურცლები“, რომელიც შეიცავს უაღრესად მდიდარ დოკუმენტურ მასალას საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან, მკითხველთა წრეებისათვის ნაკლებად ცნობილ ფაქტებს ლენინისა და ქართველი ბოლშევიკების მჭიდრო ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე ქართველ პროზაიკოსთა და პოეტთა ცალკეულ ნაწარმოებებს, რომელთაც ერთი ლეიტმოტივი, ერთი საერთო თემა აკავშირებს — „ლენინი და საქართველო“.

გამოსასვლელად მზად არის მეორე საიუბილეო კრებულიც რუსულ ენაზე — „მუდამ ლენინთან“. რუსულ ენაზე გამოვიდა აგრეთვე გ. ჟვანიას საინ-[illegible]

[illegible] („ოოინთოთი“) და სხვ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ვ. ი. ლენინის ცნობილი წიგნის „რა ვაკეთოთ?“ აფხაზურ ენაზე გამოცემა („ალაშარა“).

განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ ის დიდი, ჭეშმარიტად უანგარო შრომა, რაც ჩვენი გამომცემლობებისა და პოლიგრაფიულ საწარმოთა კოლექტივებმა ჩააქსოვეს საიუბილეო ლიტერატურის გამოცემის რთულ და პასუხსაგებ საქმეში.

აქვე მადლობით უნდა მოვიხსენიოთ მოწვეული მხატვრები ლ. გრიგოლია, ი. გურო და თ. სამსონაძე, რომლებმაც თავიანთი ღვაწლი შეიტანეს საიუბილეო წიგნების გაფორმებაში.

15 აპრილს მოსკოვში გაიხსნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნის საერთაშორისო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის ცენტრალური გამომცემლობანი, 130 რესპუბლიკური და საოლქო გამომცემლობა, სოციალისტური ქვეყნების 12 გამომცემლობა, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, დანიის, ფინეთის, ჩილის, ინდოეთის, იტალიის კომუნისტური და მუშათა პარტიების გამომცემლობები.

გამოფენაში მონაწილეობისათვის, ცხადია, ჩვენი კომიტეტიც ემზადებოდა. ქართული წიგნის, ქართული კულტურის უძველესი ტრადიციებისა და დღევანდელი მაღალი დონის, საქართველოს მშრომელთა მიღწევების ღირსეული ჩვენება — ასეთი იყო ჩვენი მიზანი. გამოფენაზე წარდგენილია რესპუბლიკის ყველა გამომცემლობის მიერ საიუბილეოდ გამოშვებული ლიტერატურა, აგრეთვე 1968-1970 წლებში გამოცემული საუკეთესო წიგნები. საქართველოს პავილიონში (გაფორმების ავტორია კომიტეტის მთავარი მხატვარი ვ. ონიანი) დამთვალიერებლები, წიგნის პროდუქციის გარდა, გაეცნობიან მრავალ დოკუმენტსა და ექსპონატს, რომლებიც ქართველი ხალხის გმირულ რევოლუციურ წარსულზე, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ქართველ მშრომელთა ბრძოლაზე, საქართველოში ლენინის უკვდავი იდეების გამარჯვებაზე მოგვითხრობს.

გამოფენის გახსნის წინადღეს მოხდა XI საკავშირო კონკურსზე წარდგენილი წიგნების განხილვა.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ წარდგენილმა წიგნმა „ქართული ხელნაწერები“ მოიპოვა უმაღლესი ჯილდო — პირველმბეჭდავ ი. ფედოროვის სახელობის დიპლომი, საკავშირო ჟიურიმ, რომელშიც გამოჩენილი მხატვრები, პოლიგრაფისტები, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეები შედიოდნენ, ერთხმად აღიარა, რომ „ქართული ხელნაწერები“ მსოფლიო პოლიგრაფიის საუკეთესო ნიმუშების დონეზეა დაბეჭდილი და გამოცემული.

ეს ფაქტი ქართველ წიგნის გამომცემელთა და პოლიგრაფისტთა დიდ გამარჯვებაზე მეტყველებს, და პირველ რიგში ქების ღირსი არიან ის ადამიანები, ვინც უდიდესი აღფრთოვანებითა და მონდომებით მუშაობდა ამ შესანიშნავი წიგნის მომზადებასა და გამოცემაზე.

ჟიურის გადაწყვეტილებით მეორე ხარისხის დიპლომი მიენიჭა გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ გამოცემულ ვ. მაიაკოვსკის პოემას „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“. სულ ჩვენმა წიგნებმა კონკურსზე შვიდი სხვადასხვა ხარისხის დიპლომი მოიპოვა.

საიუბილეო სამზადისის პერიოდში ნაყოფიერი მუშაობა გასწია წიგნით ვაჭრობის რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქწიგნმა“. წიგნის მაღაზიებში გამოიყო სპეციალური განყოფილებები, სადაც წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები, ბელადისადმი მიძღვნილი წიგნები, მოეწყო ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოსტენდები, ჩატარდა პოლიტიკური ლიტერატურის პროპაგანდისა და გავრცელების ერთთვიური, წიგნის ბაზრობები.

რესპუბლიკის გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის მუშაკები კვლავაც დაუღალავად, მთელი მონდომებით იშრომებენ ქართული წიგნის შექმნისა და გამოცემის კეთილშობილური საქმის შემდგომში გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის.

**ზ. ახვლედიანი,**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.



ვ. თოფურიძე — „ვ. ი. ლენინის სკულპტურული პორტრეტი.“

## საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პლენუმი

**20 აპრილს** გაიმართა საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პარტიის კასპის რაიკომის მეორე მდივნის მოვალეობისაგან განთავისუფლებულ იქნა **გ. გოგიაშვილი.**

პარტიის კასპის რაიკომის მეორე მდივნად არჩეულია **გ. ეპიტაშვილი.**

პლენუმმა პარტიის რაიკომის ბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანა **ი. მუხიგულაშვილი.**

## კასპის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესია

**20 აპრილს** გაიმართა კასპის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სესიამ კასპის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გაათავისუფლა **ი. მუხიგულაშვილი.**

კასპის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია **გ. გოგიაშვილი.**

* * *

პლენუმისა და სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე **რ. მეტრეველი.** (საქინფორმი).

## საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრისაგან

**სსრ** კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება დაეხმაროს თურქ მოსახლეობას, რომელიც დაზარალდა ქალაქ კიუტახიის რაიონში მომხდარი ძლიერი მიწისძვრისაგან.

საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრის თავმჯდომარემ პროფესორმა გ. ა. მიტერევმა დეპეშა გაუგზავნა თურქეთის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებას, რომელშიც ნათქვამია, რომ სურსათს, ქსოვილებსა და მედიკამენტებს დაზარალებული მოსახლეობა მიიღებს უახლოეს დღეებში.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ საბჭოთა ადამიანების საჩუქარი ხელს შეუწყობს სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციას და საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ხალხების თანამშრომლობისა და მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას. (საქინფორმის კორ.).

**ინტერვიუ ვ. ი. ლენინის ძმისშვილთან**

# დიადი ცხოვრების ფურცლები

[illegible]



მოსკოვში ჩამომიყვანეს მიყრუებული სოფლიდან 1921 წლის ზამთარში, როცა ჯერ ოთხი წლისაც არ ვიყავი.

მამაჩემი — დიმიტრი ილიას-ძე რევოლუციამდე ერთ ხანს ცხოვრობდა პოლიციის ზედამხედველობით მოსკოვის გუბერნიის სერპუხოვის მაზრის სოფელ კრავცოვოში. დედაჩემი უეცრად გარდაიცვალა, და მე თავისთან წამიყვანა ანა ილიას ასულმა. მოსკოვში ჩამოგვიყვანა ვლადიმერ ილიას-ძის შოფერმა გილმა.

სოფელში იშვიათად მიხდებოდა უცნობ ადამიანებთან შეხვედრა, ამიტომ ბავშვობაში მეტად მორცხვი ვიყავი.

როცა პირველად დავინახე ვლადიმერ ილიას-ძე, ისე შემრცხვა, რომ დივანის ქვეშ შევძვერი. ძლივს გამომიყვანეს იქიდან. მაგრამ მალე ძალიან დავუმეგობრდი ვლადიმერ ილიას-ძეს. მას უყვარდა სოფლური შაირების მოსმენა, რომლებიც ძალიან ბევრი ვიცოდი. მთხოვდა თუ არა, რამე მიმღერეო, ხანგრძლივად დასაკრავი ფირფიტასავით მოვყვებოდი, და ჩემი გაჩერება ადვილი როდი იყო. ილიჩი ისმენდა შაირებს ჩემი შესრულებით და იმდენს იცინოდა, რომ ცრემლიც კი მოერეოდა ხოლმე.

ავადმყოფობამდე ვლადიმერ ილიას-ძე გორკაში მიდიოდა ოჯახით მხოლოდ შაბათ საღამოს. გორკაში მივდიოდით იმავე მანქანით, რომელსაც ყოველთვის მართავდა ს. კ. გილი. წასვლის წინ ვლადიმერ ილიას-ძე დაგვირეკავდა ხოლმე ტელეფონით კრემლიდან და გაგვაფრთხილებდა, რამდენიმე წუთში გამოგივლითო.

მოსკოვში ანა ილიას ასულთან ვცხოვრობდი მანეჟის ქუჩის № 9 სახლში, რომელიც კრემლის ბოროვიცკის კარის თითქმის პირდაპირ დგას.

გორკაში ყოველი გამგზავრების წინ გამოვიდოდი ხოლმე აივანზე და მოუთმენლად ველოდი მანქანის სიგნალს.

ავტომობილები მოსკოვში მაშინ ცოტა იყო, გილის მანქანას კი ისეთი გამყივანი სიგნალი ჰქონდა, რომ ადვილად გამოვარჩევდი ხოლმე სხვებში.

გილი სიგნალს ჩვეულებრივ იძლეოდა ჯერ კიდევ კრემლის ბოროვიცკის კარს იქით. როგორც კი გავიგონებდი მას, სწრაფად ჩავირბენდი ქვევით და უკვე სადარბაზო კართან ვხვდებოდი მანქანას.

ვლადიმერ ილიას-ძე გამოვიდოდა მანქანიდან და მეტყოდა:

— შე ცელქო, ყველას დაასწრებ ხოლმე, ანეჩკა კი ალბათ ჯერ კიდევ ემზადება, წავიდეთ მივეხმაროთ.

ჩამკიდებდა ხელს და ერთად ავიდოდით მეოთხე სართულზე (ლიფტი ამ სახლში არ იყო). ანა ილიას ასული ხშირად აგვიანებდა მომზადებას. ვლადიმერ ილიას-ძე შევიდოდა ბინაში და ხუმრობით შეეკითხებოდა:

— რაო, ანეჩკა, ისევ ნემსებს ეძებ? მოდი ერთად მოვძებნოთ.

თუმცა ეს დაგვიანება ყოველთვის მეორდებოდა, ვლადიმერ ილიას-ძე არასოდეს არა ჯავრობდა, მხიარული ხუმრობით ეხმარებოდა მომზადებაში.

მთელი იმ წლების განმავლობაში, რაც ვ. ი. ლენინის ოჯახში ვცხოვრობდი, ერთხელაც არ მინახავს, რომ მისი ოჯახის წევრები გასწყრომოდნენ ერთმანეთს. აქ ყოველთვის სუფევდა ერთმანეთისადმი გულითადი პატივისცემა.

გორკაში ვსაუზმობდით, ვსადილობდით და ვვახშმობდით ყოველთვის ერთსა და იმავე დროს. სასადილო იყო ქვევით, სახლის ყველაზე დიდ ოთახში, რომელსაც „საზამთრო ბაღს“ ეძახდნენ.



შალითაგადაკრულ სავარძელში იჯდა ვლადიმერ ილიას-ძე, მის მარცხნივ დივანზე — ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, მარჯვნივ — მარიამ ილიას ასული, მის გვერდით დგამდნენ სკამს ჩემთვის, ჩემს მარჯვნივ იჯდა ანა ილიას ასული, მის გვერდით კი მამაჩემი დიმიტრი ილიას-ძე.

ასეთი მტკიცედ დაცული წესი რაღაც კარგ, დისციპლინირებულ ვითარებას ქმნიდა ოჯახში. ეს ილიჩის ავადმყოფობის დროსაც კი იყო დაცული. მას არ უყვარდა, რომ მისთვის ვისმე მოევლო, და როცა გაუჭირდა სასადილოში ჩამოსვლა და თავისთან მეორე სართულზე ასვლა, ითხოვა გაეკეთებინათ მეორე, წინანდელზე ოდნავ დაბალი მოაჯირი. ამ მოაჯირზე დაყრდნობით იგი დამოუკიდებლად ჩამოდიოდა მეორე სართულიდან და ყოველთვის თავის დროზე მოდიოდა მაგიდასთან.

1922 წლის გაზაფხულზე ვლადიმერ ილიას-ძე სერიოზულად გახდა ავად. ექიმებმა მოითხოვეს, რომ მუშაობა შეეწყვიტა და გორკაში წასულიყო დასასვენებლად.

ზაფხულში ბევრს სეირნობდა, ზანაობდა, დადიოდა ტყეში სოკოზე, ზოგჯერ სანადიროდაც კი.

ხმები ილიჩის ავადმყოფობის შესახებ ძალიან აღელვებდა ჩვენი ქვეყნის მუშებსა და გლეხებს.

მშრომელები რომ დაემშვიდებინა, გაზეთმა „პრავდამ“ გორკაში გამოგზავნა თავისი ფოტოგრაფი, რომელსაც უნდა გადაეღო დასასვენებლად მყოფი ილიჩის რამდენიმე სურათი.

ეს აგვისტოში იყო, ზაფხული თავდებოდა, ფოტოგრაფი ადრე ჩამოვიდა. გრილი დილა იყო; ვლადიმერ ილიას-ძემ რატომღაც მოინდომა ჩემთან გადაეღო სურათი.

მე ვჭირვეულობდი, არ მინდოდა სვიტერი ჩამეცვა და მხოლოდ მაშინ დავწყნარდი, როცა დავინახე, რომ ვლადიმერ ილიას-ძესაც თბილად აცმევდნენ.

ფოტოგრაფმა პირველი სურათი გადაგვიღო, როცა ვლადიმერ ილიას-ძე და მე სახლიდან მისი საყვარელი ხეივნისაკენ მივდიოდით. ვლადიმერ ილიას-ძეს ხელჩაკიდებული მივყავდი.

როცა ფოტოგრაფმა ყველას გვთხოვა გრძელ სკამზე დავმსხდარიყავით და გადასაღებად მოემზადა, მე სასტიკი პროტესტი განვაცხადე. გორკაში ვმეგობრობდი გოგონა ვერასთან, ის იმ დროს ჩვენს ახლოს იდგა.

მოვითხოვე, რომ ვერაც გადაეღოთ ჩვენთან.

ფოტოგრაფმა სცადა აეხსნა ჩემთვის, რომ მას უნდოდა გადაეღო ვლადიმერ ილიას-ძე ოჯახის წრეში, მაგრამ არავითარი განმარტება ახლოს არ გავიკარე, რაკი ყველას იღებენ, ვერაც უნდა გადაიღონ-მეთქი.

ვლადიმერ ილიას-ძემ და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა მხარი დამიჭირეს.

სახეგაბრწყინებული ვერა ჩვენს გვერდით დაჯდა. მხოლოდ მაშინ დავმშვიდდი. პირველი სურათი გაფუჭებული იყო. მე გაჯავრებული და ნამტირალევი გამოვიყურებოდი. მაგრამ ფოტოგრაფმა რამდენიმე სურათი გადაიღო — დანარჩენი უკეთესი იყო. „გაჯავრებულის“ სურათი ჩვენ მოგვცა სახსოვრად, სხვები კი გამოქვეყნდა.

სურათებზე: ზემოთ — ვიქტორ დიმიტრის-ძე ულიანოვი; ქვემოთ — ლენინი და პატარა ვიტია.

ფოტო ი. მაღალაშვილისა.

# სპორტი

## ჭადრაკის მერიდიანებზე

ნორდვეიკ-ან-ზეე. ჰოლანდიის ამ პატარა ქალაქში მსოფლიოს ჩემპიონი ბორის სპასკი ლიდერობს ოთხი გროსმაისტერის მიკრო-ტურნირში, რომელიც ლეიდენის საჭადრაკო საზოგადოების 75 წლისთავს ეძღვნება. პირველ ტურში მოსკოველმა 34-ე სვლაზე ყაიმით დაამთავრა პარტია დანიელ ბენტ ლარსენთან, ხოლო მეორე პარტიაში დაამარცხა იან-ჰეინ დონერი.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მიხეილ ბოტვინიკმა თავისი პარტიები ლარსენთან და დონერთან გადადო.

როვინი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მოსკოველმა ტიგრან პეტროსიანმა იუგოსლავიის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო შეჯიბრების მეექვსე ტურში გამოასწორა თავისი საქმეები, დაამარცხა რა უდოვჩიჩი (იუგოსლავია) და ახლა ჩეხოსლოვაკიელ მოჭადრაკე პორტთან ერთად 3-4 ადგილებს იყოფს. მათ ოთხ-ოთხი ქულა აქვთ.

ლენინგრადელ კორჩნოის, რომელმაც ყაიმით დაამთავრა შეხვედრა პორტთან, მეექვსე ადგილი უკავია 3,5 ქულით. ლიდერობს ფიშერი (ამერიკის შეერთებული შტატები — 5 ქულა) ერთი გადადებული პარტია. (საქინფორმი).

**თბილისიდან მეხიკოში**




**შესანიშნავი ხუთეული**

მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი.

## „პრავდის“ კროსი

მალე მოსკოვში ფინიში ექნება „პრავდის“ მძლეოსნურ კროსს. ახლა მიმდინარეობს რესპუბლიკური ასპარეზობები. საქართველოს კროსი 15 გუნდის მონაწილეობით ზუგდიდში მოეწყო. პირველ ჯგუფში გაიმარჯვეს თბილისელებმა, მეორე ჯგუფში — წალკის სპორტსმენებმა.

ყველა დისტანციაზე წარმატება თბილისელებს ხვდათ. 5.000 მეტრზე ჭაბუკთათვის გაიმარჯვა ა. მიქოიანმა (თბილისი, 16 წუთი და 11,50 წამი), 8.000 მეტრზე კროსში ვაჟთათვის პირველი იყო ი. დავიდენკო (თბილისი, 26 წუთი და 37,8 წამი).

## დაუმარცხებელი მხოლოდ ორია

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატზე შვიდმა ტურმა განვლო. დაუმარცხებლად მხოლოდ ორი გუნდი იბრძვის. ესენი არიან მოსკოვის „დინამო“ და ბაქოს „ნეფტჩი“.

კვირას საკუთარ მოედანზე მოსკოვის დინამოელები ვოროშილოვგრადის „ზარიას“ შეხვდნენ და გაიმარჯვეს 3:0.

## მატჩები და შედეგები

**გრძელდება** „ა“ კლასის პირველი და მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატი.

**კვირას** თბილისში თამაშობდნენ პირველი ჯგუფის გუნდები — ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და ყაზანის „რუბინი“. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

**გორსა** და ბათუმში პაექრობა ჰქონდათ მეორე ჯგუფის გუნდებს. გორის „დილამ“ დაამარცხა ლიეპაიას „მეტალურგი“ 2:1. გორელებიდან გოლების ავტორები იყვნენ კაპანაძე და პაპიაშვილი. ბათუმის დინამოელებმა მოუგეს ბელგოროდის „სალიუტს“ 3:1.

## რადიო

**22 აპრილი**

**პირველი პროგრამით**

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართველ კომპოზიტორთა საორკესტრო პიესები, 07.15 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 07.45 — ნ. გუდიაშვილი. საფორტეპიანო კონცერტი, 08.15 — ს. პროკოფიევი. კანტატა „იდიდე, ჩემო თავისუფალო მხარევ!“, 08.30 — სიმღერები პარტიაზე, ვ. ი. ლენინზე, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.40 — ვლასოვი. სიმღერა — კანტატა „ლენინი“, 10.00 — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გადაცემათა ტრანსლაცია მოსკოვიდან, 16.15 — რევოლუციური სიმღერები, 16.45 — ეშპაი. კანტატა „ლენინი ჩვენთან არის“, 17.00 — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გადაცემათა ტრანსლაცია მოსკოვიდან, 20.30 — კ. პაუსტოვსკი. „ფარაჯიანი მოხუცი“. რადიოდადგმა, 21.05 — კონცერტი ლენინური პრემიის ლაურეატთა მონაწილეობით, 21.45 — ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ჩვენი პარტია და ლენინი ღვიძლნი არიან“, 22.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 22.50 — კაბალევსკი. კანტატა „ლენინელები“, 23.15 — რადიოფილმი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო ზეიმის შესახებ (მოსკოვი), 23.45 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## ტელევიზია

**21 აპრილი**

10.55 — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს და რსფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული სხდომა, მიძღვნილი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი (ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან), 13.00 — ა. ბოროდინი. გოლიათური სიმფონია — (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს და რსფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული სხდომა, მიძღვნილი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი) (ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან), 15.00 — გადაცემა ბავშვებისათვის — „დაუვიწყარი დღეები“, 15.40 — დოკუმენტური ფილმი — „ლენინურ ადგილებში“. 16.40 — სატელევიზიო ლიტერატურული თეატრი — „მოთხრობები ლენინზე“, 17.00 — **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს და რსფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული სხდომა, მიძღვნილი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი** (ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — საზეიმო კონცერტი, მიძღვნილი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი (ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან). ტრანსლაციის დამთავრების შემდეგ — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს და რსფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული სხდომა, მიძღვნილი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი (რეპორტაჟი), 23.00 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა სატელევიზიო მხატვრული ფილმი პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან).

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეები — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივანი — 99-72-80, ხამდივნოს — 99-66-10, განყოფილებები: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОММУНИСТИ. ИНДЕКС 66443 № 03225

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.